ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

30 თეთრი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ყოველ მეორე სამშაბათს. №4 (1792) 25 თებერვალი-11 მარტი 2003

## ერაყის ომის წინ





მე-4 გვერდი

## შევარდნაძემ 1994 წლის 1 მარტს თავს პირობა მისცა, ოპოზიციას არ «აკყოლოდა» და დღესაც ასრულებს...

## საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტი

მე-2 გვ.




კარიკატურა მურთაზ აბაშიძისა

## „ნატოს სტანდარტები" – მითი და სინამდვილე ანუ როგორ ატყუებენ საქართველოს

მე-5 გვ.



## ბლიქსის პოზიცია მოულოდნელი არ იყო

მე-3 გვ.

## ევროპელები ვერ გაექცევიან ერთად ყოფნას

მე-5 გვ.

## ნავთობის მაღალი ფასების წყალობით რუსეთი უკეთესი ჩანს, ვიდრე არის

მე-3 გვ.



### ვ. ნ. შონია

## როგორ დაიღუპა ბერია



მე-7 გვ.

## როგორ შეგვათრიეს «ესენგეში»?!

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო“ №1, 2 2003 წ.

# საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1 მარტის სხდომის ოქმი

## საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტი

**თავმჯდომარე.** უკვე საკმარისია, საკმარისი.

**ნ. ნათაძე.** რაც სამართლებრივ სახელმწიფოში გამორიცხულია, ამის კვალიფიკაცია გითხარით რა არის?

**თავმჯდომარე.** საკმარისია. ვუყაროთ კენჭი. გამორთეთ. ვუყაროთ ბატონ ნათაძის წინადადებას კენჭი. საკმარისია. რაღაც ზღვარი ხომ უნდა ჰქონდეს ლაპარაკს, ბატონო ნოდარ!

**ნ. ნათაძე.** რას ჰქვია, საკმარისია.

**თავმჯდომარე.** ვუყაროთ კენჭი ბატონ ნათაძის წინადადებას. ვინ არის მომხრე, რომ მის მიერ დასმული საკითხი იყოს პირველ საკითხად? (კამათი დარბაზში). ყურადღება. გთხოვთ, ვუყაროთ კენჭი. მე-4 მიკროფონი, კი ბატონო.

**გ. ბარამიძე.** ბატონო ვახტანგ, ძალიან გთხოვთ, კარნახის საფუძველზე ნუ მიგყავთ სხდომა, ეს შენიშვნაა, პირველ რიგში. რატომ? იმიტომ, რომ შესვენება ჩვენ ავიღეთ და ეს თქვენ უნდა გხსომებოდათ. ახლა, რაც შეეხება თვითონ პროცედურას. ჩვენი აზრით, პროცედურა თავიდანვე წავიდა არასწორად. რატომ? იმიტომ, რომ როგორც წესი, დღის წესრიგს მთლიანობაში ეყრება კენჭი მხოლოდ იმ სახით, როგორითაც მას წარმოადგენს კოლეგია. კოლეგიამ დღის წესრიგში არ შეიტანა პირველ საკითხად „სნგ“-ში შესვლის რატიფიკაცია. აქედან გამომდინარე, მაგ საკითხის გარეშე უნდა გამოტანილიყო დღის წესრიგი დასამტკიცებლად.

**თავმჯდომარე.** გასაგებია.

**გ. ბარამიძე.** ამას ამაგრებს ბატონი ედუარდის გამოსვლა იმასთან დაკავშირებით, რომ საკითხი არის უაღრესად მნიშვნელოვანი. უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს მხოლოდ და მხოლოდ კანონიერი გადაწყვეტილება თუ გადაწყვეტს.

**თავმჯდომარე.** გასაგებია.

**გ. ბარამიძე.** ვინაიდან პარლამენტი მიჩვეულია ნახევარფაბრიკატულ მუშაობას, რომლის ყველაზე უარესი შედეგი არის ჩვენი მინისტრთა კაბინეტი, რომელიც ერთგვარი ნახევარფაბრიკატია თავისი კანონიერების თვალსაზრისით, ამას ნუღარ გავაკეთებთ.

**თავმჯდომარე.** ბატონო გია...

**გ. ბარამიძე.** ერთი წუთით, ბატონო ვახტანგ, სულ თქვენ ლაპარაკობთ. (ხმა დარბაზიდან). კანონის თვალსაზრისით...

*(ყვირილი დარბაზიდან: რა უფლება აქვს ასე რომ ლაპარაკობს).*

**გ. ბარამიძე.** ბატონო თამაზ, თქვენ ლიტერატორი ბრძანდებით, მე ვთქვი...

*(ყვირილი დარბაზში).*

**თავმჯდომარე.** მოითმინეთ, დაწყნარდი.

*(კამათი დარბაზში).*

**გ. ბარამიძე.** ბატონო თამაზ, თქვენ ლიტერატორი ბრძანდებით. მე ვთქვი, რომ კანონის თვალსაზრისით არის ნახევარფაბრიკატი და რატომ? იმიტომ, რომ დამტკიცება სჭირდება დანიშნულ მთავრობას. ძალიან ჩვეულებრივი იყო ჩემი აზრი და არანაირი შეურაცხყოფა არ არის მასში.

**თავმჯდომარე.** მოვემზადოთ კენჭისყრისათვის, საკმარისია.

**გ. ბარამიძე.** არ არის საკმარისი. მერე ხმალაძის საკითხი უნდა განვიხილოთ. მერე თავისი შინაარსიდან გამომდინარე ბატონი ნოდარის საკითხი უნდა გამოვიდეს იმიტომ, რომ წესი რატიფიკაციის შესახებ უნდა უსწრებდეს რატიფიკაციას. ჩვენ ხომ არ ვმალავთ ჩვენს დამოკიდებულებას „სნგ“-დმი. რაც შეეხება ბატონი ედუარდის გამოსვლას, მან ვერ დაგვარწმუნა, რომ საკითხი მაინცა და მაინც დღეს არის განსახილველი. ემოცია ასეთ საკითხს არ უხდება, ბატონო ედუარდ. მხოლოდ და მხოლოდ ემოციები იყო თქვენი არგუმენტები.

**თავმჯდომარე.** კარგით. ახლა კენჭი ვუყაროთ ბატონ ნათაძის წინდადებას, ვინც არის მომხრე, გთხოვთ, დავუჭიროთ მხარი.

**გ. ბარამიძე.** კაცო, ჩვენ ვითხოვთ, რომ კანონიერად ვუყაროთ კენჭი ყველაფერს.

**თავმჯდომარე.** კარგით, გამორთეთ რა. კანონიერად ვუყრი, დიახ, დაბრძანდით.

*(ხმა დარბაზიდან: ჯერ კოლეგიის მიერ მიღებულ დღის წესრიგს ვუყაროთ კენჭი). მოითმინეთ რა, კაცო. კენჭი ეყრება. ვინ არის მომხრე ბატონი ნოდარ ნათაძის წინადადებისა. დაუჭირეთ მხარი, ვისაც გნებავთ. გთხოვთ, ჩართოთ (მომხრეა 70, წინააღმდეგი 89, შეიკავა 7-მა. 166).*

ახლა, მე მინდა, გთხოვოთ, არის კიდევ ერთი წინადადება, „რესპუბლიკელების“ წინადადება, ვუყაროთ კენჭი. შევიტანოთ, თუ არა დღეს განსახილველად?

*(ხმაური დარბაზში).* ნუ ყვირიხართ. მე-5 მიკროფონი. განმარტებისათვის ბატონი ქართლოს ღარიბაშვილი.

**ქ. ღარიბაშვილი.** ბატონებო... *(ყვირილი დარბაზში).*

**თავმჯდომარე.** დაწყნარდი. *(ყვირილი დარბაზში).*

**ქ. ღარიბაშვილი.** ბატონებო, ახლა აქ ლაპარაკი იყო დიქტატის შესახებ, მაგრამ დიქტატის პირობები უფრო თქვენგან მოდის, ვიდრე ჩვენგან. ამიტომ



პარლამენტში არსებობს... პარლამენტი იმიტომ არის პარლამენტი, რომ აქ არსებობს ერთადერთი გზა საკითხის გადაწყვეტისა. (ხმაური დარბაზში). ეს არის კენჭისყრის პროცედურა. თუ აქეთ მხარეს უმრავლესობაში ვარ და მაქეთ მხარეს, უმცირესობაში ხართ, ეს არც ჩვენი ბრალია და არც თქვენი. ახლა მე მინდა კანონი წავიკითხო, ამ კანონის შედგენაში უმცირესობის, ოპოზიციის წარმომადგენლებს, კერძოდ, დღევანდელი რესპუბლიკური ფრაქციის წარმომადგენლებს ლომის წილი მიუძღვით. *(ხმა დარბაზიდან: სწორია).* მე თავიდან, როდესაც ეს სახელმწიფო ხელისუფლების კანონი იხილებოდა, ასეთი რედაქციის წინააღმდეგი ვიყავი, რაც ახლა მინდა წაგიკითხოთ. მაგრამ კანონი, როგორც თქვენ ამბობთ, და ეს ასეა, კანონი არის კანონი. მე ხელში მიჭირავს კანონი, რომელსაც ჰქვია: სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ. ამ კანონში დაფიქსირებულია მუხლი მე-9, ბოლო აბზაცი, „დეპუტატის უფლებამოსილება შეიძლება შეწყდეს მხოლოდ პარლამენტის მოტივირებული დადგენილებით დეპუტატის გადადგომის, მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის არსებობის, სასამართლო წესით მისი ქმედუუნაროდ აღიარების შემთხვევაში, აგრეთვე იმ თანამდებობაზე არჩევის ან დანიშვნისას, რომელიც კანონით შეუთავსებელია დეპუტატის საქმიანობასთან“. მე ამ საკითხთან დაკავშირებით იმიტომ გამოვედი და მომავალშიც არავის არ ეწყინოს არაიურისტებს, რომ მომავალშიც კანონების შედგენის დროს, პროექტების შედგენის დროს, თუ არა გვყავს ჩვენ აქ იურისტები, უნდა მოვიწვიოთ, ექსპერტ-იურისტები, რომ იმათ კარგად განსაზღვრონ ეს ყველაფერი. მოგიყვანთ ერთ მაგალითს, აი ამ მუხლიდან გამომდინარეობს. თუ განაჩენი შევიდა ვინმეს მიმართ, დეპუტატის მიმართ კანონიერ ძალაში, ერთ-ერთი საფუძველი რაც არის, ეს არ ნიშნავს იმას, რომ პარლამენტმა ავტომატურად უნდა შეუწყვიტოს მას უფლებამოსილება. პარლამენტს აქვს უფლება შეუწყვიტოს მას უფლებამოსილება, პარლამენტს აქვს უფლება, არ შეუწყვიტოს უფლებამოსილება (ხმა დარბაზიდან). მოიცათ, მოიცათ. ახლა ჩემი მოსაზრება ამ შემთხვევაში, ბატონო კაკო, უფრო კომპეტენტურია, ვიდრე თქვენი მოსაზრება, კანონებს როცა ეხება. (ხმაური დარბაზში).

ახლა გითხრათ მეორე საკითხი. მე, ქართლოს ღარიბაშვილს, დეპუტატს, პარლამენტის წევრს უფლება მაქვს გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება, როცა პარლამენტი ღებულობს მოტივირებულ დადგენილებას რომელიმე დეპუტატის მიმართ უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, როცა იგი არჩეულია რაიმე თანამდებობაზე, რომელიც პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელია. მე მივდივარ წინააღმდეგი, როგორც მაშინ წავედი წინააღმდეგი, რომ პარლამენტმა მას შეუწყვიტოს უფლებამოსილება და იმ დეპუტატებს, რომლებიც დაინიშნენ ამ თანამდებობაზე, შესაბამისად დღესაც არიან პარლამენტის წევრები. ეს არის კანონი და ამ კანონს ვერავინ ვერსად ვერ გაექცევა. რამდენი ხმაურიც არ უნდა იყოს ამის გარშემო, მე ვერავინ ვერ მაიძულებს, ხმა მივცე იმას, რასაც არ მინდა მივცე ხმა.

**თავმჯდომარე.** გასაგებია. საკმარისია.

**ქ. ღარიბაშვილი.** იგივე კანონიდან გამომდინარე ეს საკითხი საერთოდ არ შეიძლება დაისვას დღის წესრიგში.

**თავმჯდომარე.** ვინ არის მომხრე, რომ დღეს ეს საკითხი შევიტანოთ დღის წესრიგში? *(ხმაური დარბაზში).* მოითმინეთ. ვინ არის მომხრე, რომ რესპუბლიკელების მიერ დასმული საკითხი დღეს... *(ხმაური დარბაზში).* მოითმინეთ კაცო, თქვენ მე კანონს ვერ დამარღვევინებთ. (კამათი დარბაზში). ბატონებო, მოვემზადოთ კენჭისყრისათვის. ნუ ყვირიხართ. იურიდიული კომისიის სახელით შეგახსენეთ კანონი. მოვემზადოთ კენჭისყრისათვის.

*(ყვირილი დარბაზში).* გთხოვთ მოვემზადოთ. განმარტება არის აქ და საკმარისია. მოიცათ, მოიცათ. ზომა აქვს ყველაფერს.

*(ხმა დარბაზიდან: ნამდვილად ზომა აქვს ყველაფერს. ჩვენ დავსვით საკითხი...).* თქვენ რომ დასვით, მერე რა გინდათ?

*(ხმა დარბაზიდან: და განმარტებისათვის ქართლოს ღარიბაშვილს ეძახით? ჩაგვირთეთ მიკროფონი).* გაძლევთ განმარტებისათვის 3 წუთს. მე-3 მიკროფონი.

**ვ. ხმალაძე.** უპირველეს ყოვლისა დიდი მადლობა, რომ ამდენი ნერვების და ძალისხმევის შემდეგ, როგორც იქნა იმ საკითხის განმარტების საშუალება მომეცა, რომელსაც ჩვენ ვსვამთ. თავისი პოზიციიდან შეაფასა ის, თუ როგორ შეიძლება და რა არ შეიძლება, და თქვა, რომ ეს ასე არ არის... ბუნებრივია, სამწუხაროდ, ჩვენ არ გვყავს კონსტიტუციური სასამართლო, სადაც შეიძლებოდა ამ საკითხის გადატანა და განხილვა, მაგრამ ეს ისეთი საკითხია და ეს მუხლი ისე ნათლად არის ჩამოყალიბებული, რომ აქ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. მე წაგიკითხავთ... (ხმა დარბაზიდან: ორი აზრი ყველაფერზე შეიძლება არსებობდეს). რა თქმა უნდა, ბატონო გიგა, ოღონდ ამ შემთხვევაში ერთი — აზრია და მეორე შემთხვევაში — უაზრობა. ზოგადად ორი აზრია, რა თქმა უნდა. მე წაგიკითხავთ: „დეპუტატის უფლებამოსილება შეიძლება შეწყდეს მხოლოდ პარლამენტის მოტივირებული დადგენილებით დეპუტატის გადადგომის, მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის არსებობის, სასამართლოს წესით მისი ქმედითუუნაროდ აღიარების შემთხვევაში, აგრეთვე იმ თანამდებობებზე არჩევის ან დანიშვნისას, რომელიც კანონით შეუთავსებელია დეპუტატის საქმიანობასთან“. კანონით დეპუტატის საქმიანობასთან შეუთავსებელი თანამდებობები არის ჩამოთვლილი და მკაცრად განსაზღვრული. აქ, ამ პარლამენტში, როდესაც დაისვა ეს საკითხი წინა ხელისუფლების არჩევის დროს, შემდეგ იყო სხვა კამათები, მაშინ არც ბატონ ქართლოს ღარიბაშვილს, არც უმრავლესობას აზრად არ მოსვლია კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებინა ეს საკითხი. დეპუტატი, რომელიც არჩეული იყო თანამდებობაზე იმავ წუთში ტოვებდა სადეპუტატო მანდატს. აქედან გამომდინარე, კანონი, რომელიც მე წავიკითხე, რადგან საქართველოში შეჩერებული არის კონსტიტუცია, ეს არის კონსტიტუციური ძალის მქონე კანონი, მისი დარღვევა ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია კონსტიტუციის დარღვევით, არის უკანონო, ხოლო ამ გადაწყვეტილების მიმღებნი — არიან კონსტიტუციის დამრღვევნი. კონსტიტუციის დარღვევა ნებისმიერ ქვეყანაში კვალიფიცირდება, როგორც ღალატი.

**თავმჯდომარე.** საკმარისია.

**ვ. ხმალაძე.** ეს არის ცალსახად, ჩვენ ვაფიქსირებთ კიდევ ერთხელ... (გამოურთეს მიკროფონი).

**თავმჯდომარე.** ბატონებო, კენჭისყრაზე ვაყენებთ რესპუბლიკელების მიერ... უკაცრავად, უკაცრავად, კარგით, კარგით. *(ხმაური დარბაზში).* კენჭისყრაზე დავაყენოთ საკითხი. ვინ არის მომხრე, რომ დღეს განვიხილოთ ეს საკითხი. *(კამათი დარბაზში).* შეწყვეტილია კამათი. არა, არა. გთხოვთ. (ხმაური დარბაზში). დაიბნა ხალხი. შეჩერდეს საკითხი, ვერ გაიგო ხალხმა. (ხმაური დარბაზში). ვინ არის მომხრე, რომ რესპუბლიკელების მიერ დასმული საკითხი დღეს განვიხილოთ? *(ცხარე კამათი დარბაზში).* დაწყნარდით. გთხოვთ, ჩართეთ, ვინ არის რესპუბლიკელების წინადადების მომხრე. *(მომხრეა — 74, წინააღმდეგი — 94, თავი შეიკავა 4-მა. 175).*

კანონი ასე არ არის, უფლებამოსილება რომ უწყდება, პარლამენტი დადგენილებას იღებს, როგორ არ იცით ეს, კაცო. მოითმინეთ. მე ვთხოვ ბატონ ედუარდს, დღის წესრიგის პირველ საკითხს შევუდექით უკვე და... *(ხმა დარბაზიდან).* არა, არავითარი შესვენება, მოითმინეთ რა. ვინ არის მომხრე, რომ გავაგრძელოთ მუშაობა? *(ხმაური დარბაზში).* არ გინდათ. ბატონო ფრიდონ, თქვენც დაგჭირდებათ აქ დრო, არ გინდათ. არა, არა. დაბრძანდით და ვიმუშაოთ. *(ხმაური დარბაზში).* ვიმუშაოთ. *(ცხარე კამათი დარბაზში).* ყურადღება, დღის წესრიგი დამტკიცებულია და ვიმუშაოთ. (ხმაური დარბაზში). გთხოვთ დაბრძანდით, ვმუშაობთ. დავანებოთ ამ ფორმალიზმს თავი, რომელსაც საფუძველი არა აქვს. ბატონო დეპუტატებო, ნუ აფიქრებინებთ ვინმეს, რომ საკითხის განხილვას ხელოვნურად უშლით ხელს. საკითხზე, პრობლემაზე ვიმსჯელოთ, ეს სჯობია. *(ხმა*



*დარბაზიდან: შეკითხვა მაქვს სახელმწიფოს მეთაურთან).* დამთავრდა. შეკითხვები შემდეგ, როცა მოისმენთ.

**ე. შევარდნაძე.** მე ამ დარბაზში არა ერთხელ მითქვამს, რომ თუ გვინდა, რომ ჩვენ წარმოვადგენდეთ ხალხს პარლამენტში, მაშინ შევეცადოთ ელემენტარული წესრიგი დამყარდეს თვით პარლამენტში. *(ხმა დარბაზიდან).*

**თავმჯდომარე.** მოითმინეთ.

**ე. შევარდნაძე.** მე არ აგყვებით თქვენ, რამდენიც არ უნდა იყვიროთ, არ აგყვებით. მე ვიცი, თქვენი ანგარიში რა არის და მე ჩემი ანგარიში მაქვს. *(ხმა დარბაზიდან).* რა თქმა უნდა.

**თავმჯდომარე.** მოითმინეთ.

**ე. შევარდნაძე.** არავინ კანონს არ არღვევს. ყველაფერი მიდის იმ კანონის მიხედვით, თუ კანონს ვუწოდებთ იმას, რაც ჩვენ მიღებული გვაქვს ხელისუფლების შესახებ. რაც ჩაწერილია, იმას ჩვენ ვასრულებთ სიტყვასიტყვით, ერთი ნაბიჯით არ გადაგვიხვევია და არც გადავუხვევთ. *(ხმა დარბაზიდან).* მე ძალიან ვთხოვ ყველას, თუ გვინდა, რომ იყოს პარლამენტში გამოხატული ორი აზრი,

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობიექტური ინფორმაცია

# THE ECONOMIST რუსეთის ეკონომიკის შესახებ

**(„ნავთობის მაღალი ფასების წყალობით იგი უკეთესი ჩანს, ვიდრე არის“)**

რუსეთის ეკონომიკა კარგადაა. მიზეზებია: 1998 წლის დევალვაცია, რამაც წარმოებას სტიმული მისცა, ნავთობის მსოფლიო ფასების ზრდა და რუსეთში ნავთობის მოპოვების მკვეთრი გადიდება. რუსეთის ნავთობბარონები შიშობენ, მათი წარმოების ზრდა ნავთობსადენთა სისუსტემ არ შეაფერხოს, და ითხოვენ საკუთარი ნავთობსადენების მშენებლობის უფლებას. მაგრამ მთავრობა უარზეა. ჯერ ერთი, მას მათი კონტროლის ბერკეტები უნდა. მეორეც, იგი დაინტერესებულია უფრო მრავალდარგოვან ეკონომიკაში, ვიდრე მხოლოდ ნავთობისაში, ნავთობი და გაზი ექსპორტის 40%-ს შეადგენენ, მეტალებთან ერთად — 50-ს, ნავთობპროდუქტებთან ერთად — 63-ს. ნავთობის დღევანდელი ფასი (30 დოლარი ერთი ბარელი) რომ დაეცემა, რუსეთის ეკონომიკა კვლავ გაჭირვებაში ჩავარდება. ასეთი სტრუქტურის გამო ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებას ხელი არ ეწყობა.

მსოფლიო ბანკის გაანგარიშებით, 2001-2002 წლებში გაიზარდა ბუნებრივი რესურსების ექსპორტი და შემცირდა იმ წარმოებებისა, რომლებიც შიდა ბაზრისთვის მუშაობენ. მცირე და საშუალო ბიზნესი ნაკლებად გაიზარდა, ვიდრე ეკონომიკა მთლიანად. დღეს ბიუროკრატია, კორუფცია და საბანკო სესხების ნაკლებობა აფერხებს მცირე ბიზნესის განვითარებას. რუსეთიდან კაპიტალის გადინება ნაკლებია, ვიდრე იყო. მას წლიურად ვარაუდობენ 11-დან 25 მილიარდ დოლარამდე. მოსახლეობას ხელზე აქვს 40-60 მილიარდი, მაგრამ იგი არ მიდის ბანკებში ნდობის დეფიციტის გამო.

# იტალიის პრემიერის პოზიცია

იტალია ერთი იმათგანია, ვინც მხარს უჭერს ამერიკელთა და ბრიტანელთა მომავალ სამხედრო ოპერაციას ერაყში. მიუხედავად ამისა, პრემიერ-მინისტრმა ბერლუსკონიმ თქვა „უკეთესი იქნებოდა ჩვენი ამერიკელი მეგობრები რომ ამ საქმეში არ გვრევდნენო“ (THENEW FEDERALIST).

# უცნაური პუბლიკაცია



მკითხველმა იცის, რომ ჟურნალ THE ECONOMIST ღრმად, პრინციპულად და შეურიგებელი მორალური პოზიციით აშუქებს ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენებს — ჩეჩენი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის და ულმობელ რეპრესიულ ზომებს რუსეთის მხრიდან. ამ ფონზე ჟურნალის 8 თებერვლის ნომერში დაბეჭდილია ადვერტისმენტი (რეკლამა), რომელიც გვიხატავს რუსეთის ერთ-ერთი დიდი ოლიგარქის, ეროვნებით ჩეჩნის მალიქ საიდულაევის და მისი ფირმის „მილანის“ ქველმოქმედებას ჩეჩნეთში ნორმალური ცხოვრების მატერიალურ საფუძველთა აღდგენის მიმართულებით. საქმე ეხება წყალმომარაგების, მედმომსახურების, საცხოვრებელი სახლების აღდგენას და ყოფითი დახმარების სხვა ფორმებს. ფირმა „მილანს“ საქმე აქვს მაღალ ტექნოლოგიებთან და იგი, ფირმა „THE SOOD-WILL“-თან ერთად, პიეზო-კვარცის ფილების მსოფლიო წარმოების 20 პროცენტს აკონტროლებს. საიდულაევი 38 წლისაა, იგი გროზნოშია დაბადებული და ცდილობს კავშირი არ დაკარგოს ეროვნულ ხალხურ ტრადიციასთან.

ეს მასალა დაბეჭდილია განსხვავებული შრიფტით და „ადვერტისმენტის“ სტატუსით, რაც მკითხველს მკაფიოდ მიანიშნებს იმაზე, რომ ეს ჟურნალის პოზიციის გამოხატულება არ არის. სკრუპულოზურად აწონილ-დაწონილი ტექსტი არ ახსენებს არც ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას, არც რუსეთის არმიის მხეცობას, არც საქმის იურიდიულ მხარეებს. უფრო მეტიც: აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ჩეჩნეთი ბრძოლით მიყენებულ ჭრილობათა მოშუშებას საჭიროებს, მაგრამ არა იმაზე, რით დამთავრდება, რამდენ ხანს გაგრძელდება და რატომ (ვისი ბრალით) გაგრძელდება ჭრილობათა მიყენების პროცესი.

# განსხვავებული აზრი ერაყზე

ასეთი აზრის ერთ-ერთ მაგალითს გვიჩვენებს ჟურნალი EIR-ის (EXESNTIVE INTELLIGENCE REVIEW) ცნობა, რომ მის კორესპონდენტს თეთრი სახლის პრეს ბრიფინგზე უკითხავს მისი წარმომადგენლისათვის ა. ფლაიშერისათვის, თუ ჰუსეინს მართლაც აქვს ქიმიური ან ბიოლოგიური იარაღი, მას ხელი ხომ შეეწყო იმით, რომ 1980-1988 წლების ირან-ერაყის ომის დროს ჩვენ მხარს ვუჭერდით ერაყსო? ფლაიშერმა უარჰყო ეს შესაძლებლობა და განაცხადა, რომ „ამერიკის შემთხვევაში“ ასეთი ფირმა, ვინც სადამ ჰუსეინს ამ საქმეში დახმარებას გაუწევდა, არ არსებობს.

აკრძალული იარაღი, რომელიც, ამერიკელთა აზრით, ერაყს აქვს, მოიცავს ჯილეხს, ბოტულიზმის ტოქსინს და სხვა ბიოლოგიურსა და ქიმიურ აგენტებს.

# ბლიქსის პოზიცია მოულოდნელი არ იყო

უშიშროების საბჭოში ინსპექტორთა ხელმძღვანელის ჰანს ბლიქსის ზემოხსენებული პოზიცია მოულოდნელი არ იყო. მის გამოსვლამდე რამდენიმე საათით ადრე გაზ. „ფაინენშელ ტაიმსი“ წერდა, რომ „გაერთიანებული ერები (გაერო) მოელიან, რომ იგი გააკრიტიკებს ერაყს მისი არასაკმარისი თანამშრომლობის გამო ინსპექტორებთან. მაგრამ ისინი არ ფიქრობდნენ, რომ იგი წარმოადგენს უჭოჭმანო განცხადებას, რომ ინსპექციის საქმე ჩაიშალა“. როგორც უკვე ვიცით (იხ. აქვე ზემოთ), ეს მოლოდინი გამართლდა. რომელია ის უთანხმოების წერტილები, რომელმაც უპრეცედენტოდ გაყო გაეროს უშიშროების საბჭოც, ნატოც და ევროკავშირიც და მათ ყოფს დღესაც, როცა, ერთის მხრივ, ბუში მოუწოდებს თავის მეომრებს, გამოვაჩინოთ, რომ „ხერხემალი გვაქვსო“, და ბლეირი თავისი ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა ერთ მესამედს ერაყთან საომრად გზავნის, ხოლო მეორე მხრივ საფრანგეთი და გერმანია დაჟინებით ითხოვენ, სადამ ჰუსეინს ჭკუაზე მოსასვლელად კიდევ დრო მივცეთო, და პუტინი (რომელსაც პრაქტიკულად არავინ არაფერს აღარ ეკითხება. რედ.) ინტერვიუში აცხადებს, შესაძლოა გაეროს ახალ (უფრო მკაცრ) რეზოლუციას ვეტო დავადოთ, „თუ აუცილებელი აღმოჩნდაო“ და ამ დროს პოზიციათა განლაგება ასეთია: ბლეირი ამბობს, ომს ვერ გამოვრიცხავთ, როგორც უკანასკნელ საშუალებას, რადგან „გაეროს ავტორიტეტის დაცვა გვმართებსო“. მის მდგომარეობას ის ართულებს, რომ გაეროს „ზურგი“, ახალი რეზოლუციის სახით, მას სჭირდება თავისი პოზიციის განსამტკიცებლად თვით ინგლისში, რომელსაც გაეროს სანქციის გარეშე ერაყში ომი მაინცდამაინც არ ჰსურს. ასევე მოითხოვენ გაეროს რეზოლუციას ესპანეთი, იტალია და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანათა უმრავლესობა. ესენიც გაეროს ავტორიტეტის დაცვის აუცილებლობას იმოწმებენ. ამ ორჭოფულ ფონზე ხდება უნიკალური მოვლენა — ნატოს გამწარებული დებატები, რომლებიც ეწინააღმდეგება „კონსენსუსის კულტურას“ ამ ორგანიზაციაში და პოზიციათა პოლარიზაცია იმაზე, ვინ ჩაებმება ომში და ვინ არ ჩაებმება იმ შემთხვევაში, თუ თურქეთს სამხედრო დარტყმას მიაყენებენ (პრაქტიკულად — ერაყი მიაყენებს). საფრანგეთი, გერმანია და ბელგია ამ ეტაპზე უარს ამბობენ ომში დაბმაზე, რადგან ურჩევნიათ, ასეთი გადაწყვეტილება მიიღოს გაერომ და არა ნატომ (დღეისათვის გერმანიას უკვე ნათქვამი აქვს, ნატოს ამ სამხედრო ნაბიჯს არ გამოვეთიშებითო). ამავე დროს არსებობს ვარაუდი, რომ ეს კაბინეტური თამაში (რეპეტიცია სიტუაციისა: როგორ რეაგირობს ნატო, თუ ერთ-ერთმა წევრმა, ვთქვათ, თურქეთმა თავდასხმა განიცადა, ვთქვათ, სირიის მხრიდან) ამერიკელების ჩანაფიქრს ემსახურება. ამ არაპირდაპირი გზით მოიპოვონ ევროპელთა ტოტალური პოლიტიკური მხარდაჭერა (სხვა მათ არ სჭირდებათ და არც ჰსურთ. რედ.) მომავალ ომში. „ფაინენშელ ტაიმსი“ იმოწმებს ნატოში აკრედიტებული ერთ-ერთი ელჩის სიტყვებს „მას შემდეგ, რაც 11 სექტემბრის შემდეგ ამერიკელებმა დაინახეს, რომ ნატო უუნაროა და გადაწყვეტილებათა მისაღებად საუკუნეები სჭირდება, ამჯერად აშშ ცდილობს ნატო გამოიყენოს თავის ომში ერაყის წინააღმდეგ. აი, რა არის დღესდღეობით ნატოში ატეხილი დავის არსი“. („საქართველოს“ მკითხველს ახსოვს ჩვენი პუბლიკაციები ევროპული პრესის მასალებისა, საიდანაც, წინააღმდეგ ამ მსჯელობისა, ჩანს, რომ ევროპელებს დიდად ენადათ ამერიკელთა აზიურ ოპერაციაში ჩაბმა, მაგრამ ამერიკელებმა, პრაქტიკულად, მარტო ბრძოლა არჩიეს. „ერთმხრივობა“ ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბრალდებაა, რასაც დღეს ამერიკის პოლიტიკას ევროპელები უყენებენ. რედ.). ვაშინგტონი ევროპელთა ამ პოზიციას — განსაკუთრებით, გერმანელებისას — აფასებს როგორც ნატოელი მოკავშირის „ჩაშვებას“ (LETTING DOWN) და როგორც უმადურებას იმის თაობაზე, რომ ამერიკის სამხედრო „ქოლგამ“ ევროპა 60 წლის მანძილზე რუსეთისაგან (სსრკ-სგან) დაიცვა. ევროპელების აზრით, „საფრანგეთი და გერმანია ვერც კი ხვდებიან, რა დიდი ზიანი



ინსპექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი ჰანს ბლიქსი

მიაყენეს ნატოს“. მათ იგი, ფაქტობრივად, დაშალეს ისეთ დროს, „როცა ნატო, სსრკ-ს დაშლის შემდეგ, ახალ როლს ეძებდა, როცა მას შემცვლელი არ ჰყავს და როცა ევროპა მზად არ არის საკუთარი თავის დაცვის პასუხისმგებლობა იტვირთოს“.

გერმანიის ხელისუფლება არბილებს თავის პოზიციას იმ არგუმენტაციით, რომ გაეროს უკვე არსებული რეზოლუცია კმარა ერაყის განსაიარაღებლად, მით უფრო, თუ ინსპექტორთა რაოდენობას გავზრდით, და რომ გერმანია წინააღმდეგია გაეროს გარეშე ომისა, და არა ყოველივე ომისა ერაყში. გარდა ამისა, შროდერი პრინციპულად წინააღმდეგია „წინმსწრობი დარტყმებისა“, რაც ამერიკელებმა თავის თავდაცვის დოქტრინაში შეიტანეს. კრიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ შროდერის ეს წინააღმდეგობა ამცირებს ევროპაში გერმანიის გავლენის შესაძლებლობებს და, პირიქით, საფრანგეთისას ზრდის, რადგან მას უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლება აქვს.

საფრანგეთის პრეზიდენტი შირაკი უფრო რბილად ეწინააღმდეგება ომს, იგი მას მხოლოდ „უკანასკნელ გამოსავლად“ თვლის და გერმანიასა და რუსეთთან ერთად აცხადებს, რომ ეცდება უშიშროების საბჭოში მიაღწიოს ისეთი რეზოლუციის მიღების გადავადებას, რომელიც ომის სანქციას გასცემს. ამ აზრს იზიარებს ჩინეთიც. ფრანგებს იმედი აქვთ, რომ, დიპლომატიური მუშაობის შედეგად, მიაღწევენ იმას, რომ უშიშროების საბჭოს დღევანდელი 15 წევრი ქვეყნიდან უმრავლესობა ასეთი რეზოლუციის წინააღმდეგი იქნება.

„ფაინენშელ ტაიმსის“ სიტყვით, ფრანგებმა იციან, რომ სადამ ჰუსეინი ფლობს ჯილეხისა და ყვავილის ვირუსებს და რომ მას 150 კმ-ზე უფრო დიდი რადიუსის რაკეტებიც აქვს.





მაგრამ მათ არ სჯერათ, რომ იგი ახლოა მისული ბირთვული იარღის შექმნასთან და რომ ალ-ყაიდასთან მჭიდრო კავშირი აქვს. ამავე გაზეთის სიტყვით, შირაკი ცნობილია, როგორც ოპორტუნისტი. მაგრამ ამ კერძო შემთხვევაში იგი ხელმძღვანელობს პრინციპებით, რომლებიც გაზიარებულია მისი ქვეყნის პოლიტიკური საზოგადოებრიობის მიერ: „წინმსწრობი დარტყმების“ დაუშვებლობის პრინციპით და გაეროს როლისა და პრესტიჟის დაცვისა და გაზრდის აუცილებლობის პრინციპით.

მაინც, გაზეთის აზრით, საფრანგეთის პოლიტიკას ორი „ორჭოფულობა“ მოსდევს. პირველი. რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს ინსპექტირება, როცა ამერიკელთა შეიარაღებული ძალები უკვე პოზიციებზე დგანან და იქ უსასრულოდ ვერ დარჩებიან? მეორე. გაურკვეველია, აპირებს თუ არა შირაკი, ფრანგები გაარიდოს ყველანაირ სამხედრო აქციას ერაყში. ვინც შირაკს იცნობს, ის, გაზეთის სიტყვით, არ გამორიცხავს, რომ შირაკი, თავისი მყარი საპარლამენტო უმრავლესობისაგან დაიმედებული, ერთ მშვენიერ დღეს არ გამოვა ტელევიზიით და არ განაცხადებს, რომ ემიჯნება ამერიკელთა პოლიტიკას ერაყის მიმართ, რითაც იგი (შირაკი) შექმნის დიდ ბზარს ევროპაში და ამერიკული ერთპიროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ წარმართული ევროპული კამპანიის მესიტყვე გახდება.

შექმნილი ვითარება, გაზეთის სიტყვით, მძიმე მდგომარეობაში აყენებს ბლეირს, რომლის ქვეყანა მზადაა ომისთვის გაეროს ზურგით, მაგრამ არა ომისათვის ასეთი ზურგის გარეშე.

მოსალოდნელია, რომ ახალი რეზოლუციის ტექსტის პროექტის შედგენას აშშ და ბრიტანეთი თებერვლის დამლევამდე მოუნდებიან. ადვილი მოსალოდნელია, რომ ომი დაიწყოს გაეროს სანქციის გარეშეც: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამერიკელებს ომის ასეთი ფორმა ურჩევნიათ საკითხის გაეროში გატანას და იქ ვეტოს მიღებას. მეორეც, იმიტომ, რომ არაა აუცილებელია უსანქციო ომი უბედურებას მოასწავებდეს. შესაძლოა, ამერიკელებმა და მათმა მოხალისე მოკავშირე ქვეყნებმა სწრაფი გამარჯვება მოიპოვონ და ბაღდადის ქუჩები მათ მიესალმონ, როგორც „განმათავისუფლებლებს“. მაშინ, გაზეთის მიერ დამოწმებული დიპლომატის აზრით, შესაძლებელია ბუშმა მაგიდაზე დადოს ახლო აღმოსავლეთის ყოვლისმომცველი დარეგულირების კონკრეტული გეგმა.

***„საქართველოს“ რედაქციისაგან.*** თუ ვითარება ისე წარიმართა, როგორც „ფაინენშელ ტაიმსის“ ეს უკანასკნელი პროგნოზი ვარაუდობს, შესაძლებელია, ეს ახლო აღმოსავლეთში ჩრდილოეთის გავლენის ალკვეთის გადამწყვეტი ეტაპი აღმოჩნდეს. საყურადღებოა, რომ ახლა, მოსალოდნელი ომის წინადღეებში, პრესა აღარ ლაპარაკობს საკუთრივ სანავთობე ინტერესებზე, რომლებიც მონაწილე ან არმონაწილე ქვეყნებს ერაყში აქვთ და რომლებს „საქართველოს“ მკითხველი იცნობს ჩვენი წინა პუბლიკაციებიდან.

საქართველო

ბიბლიოთეკა




ობიექტური ინფორმაცია

# ერაყის ომის წინ

საკვანძო საკითხად ერაყის მომავალი ომისადმი მსოფლიოს დამოკიდებულებისათვის — როგორც ღიასთვის, ისე გამოუცხადებლობისთვის — დღემდე რჩება ის, თუ როგორ მოეკიდებიან ამერიკის სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის ამასწინანდელ გამოსვლას გაეროში, რომელშიც მან მოინდომა იმის დამტკიცება, რომ ერაყს მასობრივი განადგურების იარაღი აქვს და მას მალავს. ჟ. THE ECONOMIST იმ აზრისაა, რომ პაუელის სიტყვას სუსტი მხარეებიც აქვს და ძლიერიც და რომ ჭეშმარიტება სადღაც შუაშია იმათ შორის, ვინც ფიქრობს, რომ პაუელმა მთავარი დაამტკიცა, და იმათ შორის, ვინც ფიქრობს, რომ მან ყველაფერი ვერ დაამტკიცა, რისი დამტკიცებაც უნდოდა. სკეპტიკოსები კითხვებს სვამენ: რატომ დღემდე დასავლეთის დაზვერვებმა ვერ გამოაქვეყნეს აკრძალული რაკეტებისა და მასობრივი მკვლელობების იარაღების ვერც ერთი ფოტო? როგორ ხდება, რომ ამდენი წლის მანძილზე ვერც დაზვერვის ცენტრალურმა სამმართველომ (აშშ), ვერც მოსადმა (ისრაელი) და ვერც სხვამ ერთი ასპროცენტიანი ნივთმტკიცებაც კი ვერ იპოვა, ან რატომ უნდა დავუჯეროთ „გადმომრბენ" ერაყელ სამხედრო მოსამსახურეებს, რომ ერაყს აკრძალული იარაღის მობილური ლაბორატორიები აქვს? და ასე შემდეგ. მეორეს მხრივ, ამერიკელთა მიერ მოპოვებული სატელიტური ფოტომასალა და მოსმენილი რადიოსაუბრები ცხადყოფენ, რომ ერაყელებს რაღაცა დასამალი აქვთ. ასე რომ, ჯამში, ჟურნალის აზრით, „ან სულელი უნდა იყოთ, ან არამზადა", რომ დაიჯეროთ ის კონტრარგუმენტები, რაც ჰუსეინის მხარეს მოჰყავს თავის გასამართლებლად. მართლაც, როგორ უნდა დაიჯეროთ, რომ ერაყელმა დიქტატორმა მილიარდობით დოლარები იზარალა (ემბარგოს შედეგად), თავისი ხალხი გატანჯა და თავი საფრთხეში ჩაიყენა მხოლოდ სიჯიუტის გამო, რომელიც ხელს უშლის, ინსპექტორებთან რეალურ თანამშრომლობას დაეთანხმოს? სრულებით დაუჯერებელია, ჟურნალის აზრით, ერაყელთა განცხადებაც. მას აქეთ, რაც 1998 წელს ინსპექტორები ქვეყნიდან გავაძევეთ, ჩვენი აკრძალული იარაღი ჩვენ თვითონ გავანადგურეთო. რადგან „ქმედებათა ისეთი ჩამონათვალის მქონე ქვეყანა, როგორიც ერაყს აქვს, უდანაშაულობის პრეზუმპციას ვერ იმსახურებს".

ამგვარად, ჟურნალს მიაჩნია, რომ ე.წ. „მტკიცების ტვირთი" ამ შემთხვევაში სადამ ჰუსეინს აწევს: ამერიკელებმა კი არ უნდა დაამტკიცონ, რომ მას აკრძალული იარაღი აქვს, არამედ მან უნდა დაუმტკიცოს მსოფლიოს, რომ ასეთი იარაღი არა აქვს.

## სხვა დასავლელთა პოზიცია

„საქართველოს" წინა ნომრებში ჩვენ მოვიყვანეთ მასალა ამავე ჟურნალიდან, სადაც ლაპარაკი იყო იმაზე, რა არის ამერიკელებისთვის უკანასკნელი და ყველაზე მძლავრი „კოზირი" ევროპელთა დასარწმუნებლად, რომ მათი პოლიტიკის კვალზე უნდა იარონ: ესაა ევროპელთა ძვალ-რბილში გამჯდარი შიში, რომ ამერიკელებმა შეიძლება მათ ზურგი შეაქციონ და გიგანტური ბირთვული არსენალით შეიარაღებულ რუსეთს პირისპირ შეატოვონ. ამ „ჩარჩო-ფაქტორის" ფონზე თამაშდება ამერიკულ-ერაყული კონფლიქტისადმი დანარჩენი დასავლელების დამოკიდებულების დრამა, ფრანგებს, ჟურნალის აზრით, „სჩვევია" ხმაურის ატეხა ამერიკულ-ბრიტანული ინიციატივების გამო მანამდე, სანამ ამ ინიციატივებს შეუერთდებოდეს. მაგრამ ამჯერად საქმე ცოტა სხვაგვარადაა. პრეზიდენტ შირაკს, ჟურნალის აზრით, სრულებით არ სჭირდება ამერიკული ვერსიის სიტყვა-სიტყვით დაჯერება, რათა დარწმუნებული იყოს იმაში, რომ სადამ ჰუსეინი სანდო არ არის. მაგრამ მისი მიზანია ის, რომ ცოტა „ფრთები მოუკვეცოს" თავის ზეძლიერ მოკავშირეს, და არა ის, რომ ერაყის პრობლემა სხვა კალაპოტში გადაიყვანოს.

## სხვა არაბთა და მუსლიმანთა პოზიცია

სხვა არაბული ქვეყნების უმრავლესობა, როგორც ჩანს, შეურიგდა მომავალი ომის გარდუვალობას, როგორც ფაქტს, და ცდილობს შეძლებისდაგვარად, ამ კონფლიქტის პირობებში თავისი საკუთარი ინტერესები წინ წაწიოს. კუვეიტისა და ერაყის უდაბურ საზღვარზე მიწის ნაკვეთების ფასმა მკვეთრად აიწია, რადგან დამბანდებელნი მოელიან, რომ ომის



დამთავრების შემდეგ აქ გაცხოველებული მიმოსვლა და სხვა კავშირ-ურთიერთობები გაჩაღდება. თურქეთის მმართველი პარტიის ლიდერმა ერდოგანმა მცდელობა არ მოაკლო პარლამენტის დაყოლიებას იმაზე, რომ ამერიკის შეიარაღებულ ძალებს თურქეთის ტერიტორიის გამოყენების ნება დართონ.



თავისი პოზიციის ამ შეტრიალებას (ადრე ის ომის წინააღმდეგიც იყო) თავისი ხალხის თვალში იგი იმით ამართლებს, რომ „ჩვენი მორალური პრიორიტეტია მშვიდობა, მაგრამ ჩვენი პოლიტიკური პრიორიტეტია ჩვენი საყვარელი თურქეთი". მიუხედავად არაბული ხალხების მზარდი მტრული დამოკიდებულებისა ამერიკელების მიმართ, არაბი ლიდერებიც ლამობენ აჰყვნენ ამერიკულ სტრატეგიას, რომელსაც კაცობრიობის ინტერესთა დაცვის სახე აქვს. და ამ პოზიციით ხეირი ნახონ. თუმცა ომის შედეგად ეგვიპტემ შეიძლება დაკარგოს ის 6-8 მილიარდი დოლარი, რომელიც ტურიზმის შედეგად შემოსდის წლიურად, მას იმედი აქვს კომპენსაციისა იმით, რომ საუდის არაბეთისგან დახმარება მიიღო და ამან შეაძლებინა — ამერიკელთა რჩევის შესაბამისად, — თავისი ფულის თავისუფალი კურსის გამოცხადება. ამ ფაქტორებმა იკმარა იმისათვის, რომ ეგვიპტის სამთავრობო პრესაში ერაყის დაცვის კურსი მისი სიჯიუტის დაგმობის კურსით შეცვლილიყო. ერთადერთი არაბული ქვეყანა, რომელიც, ჯერჯერობით, ერაყის ერთგულ მომხრედ რჩება, არის სირია. მაგრამ „ცინიკოსი" ჟურნალისტები ფიქრობენ, რომ ამის მიზეზია ის მილიონი დოლარი დღიური შემოსავალი, რასაც სირია იღებს ერაყის ნავთობის უკანონო (ანუ არსებულ ემბარგოს საწინააღმდეგო) ექსპორტისაგან თავისი ტერიტორიის გავლით.

## ვის რა უნდა და რატომ?

პაუელის მიერ უშიშროების საბჭოსთვის წარდგენილი მასალა საკმაოდ მრავალმხრივია და უხვია. იგი მოიცავს მოძრავი ბიოლოგიური ლაბორატორიების მონაცემებსაც, რაკეტებისასაც და ბირთვული ბომბის დამზადების მცდელობასაც. მაგრამ ამ მონაცემთათვის ნდობის გამოცხადება-არგამოცხადება მხოლოდ მათს ხარისხზე დამოკიდებული როდია. როლს თამაშობს ის ფონიც, რომელზედაც მათი მიწოდება ხდება. 11 სექტემბრის ტერაქტამდე არც ამერიკელებში, არც სხვებში არ იყო იმის განწყობილება, რომ არაბებისაგან მასობრივი მოსპობის იარაღთა და მათი მიტანის საშუალებათა წარმოებაზე მიღებული ცნობები სერიოზულად მიეღოთ. ახლა ასეთი განწყობილება არის. იკვლევენ არა იმდენად იმას, აქვს თუ არა სადამს ასეთი აკრძალული იარაღი, რამდენადაც იმას, არის თუ არა იგი განწყობილი მის საწარმოებლად (რაც, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო სახიფათოა).

კამათის სვადასხვა მონაწილეს, ჟურნალის სიტყვით, სხვადასხვა მოტივები ამოძრავებს. თუ ამერიკელები ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ გულგრილად უყურებდნენ გაეროს ახალი რეზოლუციის მიღება-ვერმიღების საკითხს, დღეს მათთვის ამ რეზოლუციამ დიდი მნიშვნელობა შეიძინა. რადგან ამერიკელ ხალხს ბევრად ურჩევნია ასეთი რეზოლუციით ომი მის გარეშე ომს. ბლეირისთვისაც მას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს დაუწყნარებს მას ოპოზიციას ინგლისში. საინტერესოა, რომ არაბ რეჟიმებსაც, მიუხედავად ბუშის წინააღმდეგ მიმართული მათი კრიტიკული გამოსვლებისა, თურმე, სინამდვილეში სწადიათ ამერიკელებმა ერთპიროვნულად მოაგვარონ თავისი განზრახვა — ჩამოაგდონ ჰუსეინი, — რადგან არ ჰსურთ არაბთა თვალში ახალი შარავანდით შემოსილი ჰუსეინი თავის გვერდით. რუსეთს და საფრანგეთს აგრეთვე ურჩევნიათ გაეროს თანადგომით წარმოებული ომი მისი თანადგომის გარეშე წარმოებულს, რადგან ეს უკანასკნელი იქნებოდა ამერიკის მეტისმეტად დიდი გავლენისუნარიანობის მაჩვენებელი, რაც მათ არ ჰსურთ.

## რა ელის ერაყს ომის შემთხვევაში

სპარსეთის ყურის ომის შემდეგ ერაყი ფეხზე არ წამომდგარა. მოსახლეობის 60%-ის (16 მილიონი სულის) სიცოცხლე ასი პროცენტით დამოკიდებულია ხელისუფლებისგან მიღებულ დახმარებაზე. გამოთვლილია, რომ ომის შემთხვევაში 5,4 მილიონ სულს გადასარჩენად დასჭირდება პროდუქტების მიწოდება გარედან. სამაგიეროდ ომის შემდეგ ამერიკელები აპირებენ წალეკონ ერაყი ჰუმანიტარული დახმარებით, რომლის დასაწყობება განზრახულია იორდანიაში ან კუვეიტში.

# გლობალიზაციის მომხრეთა თვალსაზრისი

გლობალობა, ანუ დედამიწის შემჭიდროება და მის ნაწილთა ყოველმხრივი ურთიერთობის გაცხოველება, რაც დღევანდელ დღეს ერთი, ორი და ოცი საუკუნის წინანდელისაგან ასხვავებს, ფაქტია, გლობალიზაცია, ანუ ამ პროცესის ბუნებრივი გაგრძელება და გაღრმავება, ჩვენი ნებისგან დამოუკიდებელი პროცესია. მაგრამ გლობალიზმი, ანუ ამ პროცესისთვის ტაშის დაკვრა, მისი ხელშეწყობა და მისთვის წინააღმდეგობის არგაწევის ქადაგება, ყოველი ცალკეული ადამიანის საკუთარი ნებისა და გადაწყვეტილების საგანია. „საქართველოს" რედაქციას მიაჩნია, რომ ამ ობიექტურ პროცესს თავისი პლუსებიც და თავისი მეტად სახიფათო მინუსებიც აქვს და რომ ჯანსაღ სახელმწიფოს მის მიმდინარეობაში ჩარევა და მარეგულირებელი როლის შესრულება ძალუძს კიდეც და ჰმართებს კიდეც. მაგრამ არსებობს მრავალი სხვადასხვა თვალსაზრისი და ჩვენი ქვეყნის მომავლით დაინტერესებულ მკითხველს ყველა ამ თვალსაზრისის გაგება ჰსურს. ვაქვეყნებთ (თავისუფალი გამოცემის სახით) კემბრიჯისა და იელის უნივერსიტეტთა პროფესორის პიტის შენიშვნას „ფაინენშელ ტაიმსიდან".

გერმანიაში რომ 1834 წელს საბაჟო კავშირი შეიქმნა (ანუ გერმანულ სამეფო-სამთავროებს შორის საბაჟო საზღვრები რომ გაუქმდა) სასოფლო-სამეურნეო ბავარიაში მყოფმა სუსტმა მრეწველობამ წააგო (დანარჩენ გერმანელ მეწარმეთა კონკურენციის გამო), სოფლის მეურნეებმა კი მოიგეს. 1980-იანი წლებიდან ათიოდე წლის მანძილზე ბავარიაში მრეწველობაც სწრაფად განვითარდა და დღეს იქ სულ მოსახლეზე ოცჯერ მეტი შემოსავალი მოდის, ვიდრე 1830 წელს. ამ წინსვლაში, რა თქმა უნდა, თავისი წილი აქვს ტექნოლოგიების განვითარებასაც ნიჭიერ ადამიანთა შრომით, მუშახელის დახელოვნებასაც (რაც აგრეთვე ნიჭს მოითხოვს) და ნიჭიერ მენეჯმენტსაც. ავტორს მიაჩნია, რომ გლობალიზაციის პროცესის მოწინააღმდეგეთა უკმაყოფილება იმავე ტიპის მოვლენაა, რაც ბავარიელი მეწარმეების უკმაყოფილება იყო 1834 წელს. „დღევანდელი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის ზოგი კრიტიკოსი სამართლიანად იწუნებს კანონებს ვაჭრობის, ინტელექტუალური საკუთრებისა და ზოგი სხვა სფეროს შესახებ, რომლებიც უსამართლო უპირატესობას აძლევენ მდიდარ ერებს. სხვები სამართლიანად ითხოვენ ტრანსფერებს იმათ სასარგებლოდ, ვინც ძალიან ღარიბია და მოდერნიზაციის პროცესში მყოფი ეკონომიკის ბორბლებში მოქცეულია. მაგრამ ზოგიერთები უპირისპირდებიან გლობალიზაციას, როგორც ასეთს. იმის თქმა, რომ გლობალიზაციას წერტილი უნდა დაესვას, იმის თქმას უდრის, რომ ვისარგებლოთ ჩვენ წინაპართა არჩევნით, რომლებმაც მსოფლიოში მიმდინარე პროცესების მიყოლა გადაწყვიტეს. და ამავე დროს, მათი ამ გადაწყვეტილების შედეგად მიღწეულ კეთილდღეობაში მონაწილეობაზე უარი ვუთხრათ დღევანდელ ღარიბებს. აბა, ჰკითხეთ ბავარიელებს, რამდენს უნდა დღეს 1830-იანი წლების შემოსავლის ამარა ყოფნა?

ავტორის მსჯელობა გვერდს უქცევს დღეს საყოველთაოდ ცნობილ იმ ფაქტს, რომ გლობალიზაციის პროცესში არსებობენ „მომგები" და „წამგები" ქვეყნები, ანუ ისეთები, რომლებმაც წარმოებებისა თუ მომსახურეობის ამა თუ იმ სფეროში დედამიწაზე გაბატონებული პოზიცია დაიკავეს. და ისეთები, რომლებმაც თავის წილად თანამედროვე ტექნოლოგიების (ამ სიტყვის ფართო აზრით) ვერც ერთი უბანი ვერ დაისაკუთრეს.

„საქართველოს" შემთხვევა ექნება არაერთხელ ესაუბროს მკითხველს თანამედროვე მსოფლიოსათის ამ უმნიშვნელოვანეს თემაზე.

ობიექტური ინფორმაცია

# ევროპელები ვერ გაექცევიან ერთად ყოფნას




ამ სათაურით „ფაინენშელ ტაიმსი" აქვეყნებს ფ. სტივენსის ფელეტონს, რომელშიც შეფასებულია ევროპული ერთიანობის შექმნის პროცესის დღევანდელი დღე და პერსპექტივა. თუმცა დღეს ერაყთან დაკავშირებით ევროპელებს შორის მკვეთრი წინააღმდეგობები გამოვლინდა, ევროპის „საკონსტიტუციო კავშირის" ტექსტზე მუშაობა გრძელდება (იგი მინდობილი აქვს საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტს ჟისკარ დ ესტენს და მის ჯგუფს). ევროკავშირს მოუწევს გადაწყვეტა, თუ როგორი უნდა, რომ იყოს. მისი არჩევანი ძევს რეალურ ქმედით ერთიანობასა და ბუტაფორულ ფორმალობას შორის.

სადამ ჰუსეინისადმი დამოკიდებულებაზე წარმოშობილმა დავამ ევროპელებს დაანახვა, ჯერ ერთი, ის, რომ პოლიტიკურ ინსტიტუტთა შექმნა ვერ ცვლის პოლიტიკური ნების ერთიანობას, როგორც ურთიერთდაახლოების ფაქტორს. მეორეც, ის, რომ რაც არ უნდა ძლიერი იყოს მცდელობა ევროპის ერთი ხმით ალაპარაკებისა, წამყვან ფაქტორად მაინც ეროვნულ სახელმწიფოთა საკუთარი ინტერესები რჩება. მართალია, ევროპელებს მეტი აქვთ საერთო ინტერესები, ვიდრე დღეს, ერაყის გამო შექმნილი განხეთქილების ფონზე ჩანს, მაგრამ ისტორია გვეუბნება, რომ ევროპელებს არასოდეს არ ექნებათ მსოფლიო პოლიტიკის ერთიანი ხედვა. მაგალითად, საფრანგეთი არასოდეს არ აიღებს ხელს თავის არჩეულ როლზე, რომ შეერთებული შტატებისადმი დამოკიდებული პოზიციის გაცხადების პირველი მესიტყვე იყოს, ისევე როგორც ინგლისი არ შეელევა თავის როლს, რომ ევროპაში შეერთებული შტატების პირველ მეგობრად იყოს მიჩნეული. რაც შეეხება გერმანიას, მას ერთხანს კიდევ მოუხდება „თავისი წარსულის დემონთა საზოგადოებაში ცხოვრება", ანუ თავმდაბლად გასუსულ მდგომარეობაში ყოფნა იმ დანაშაულთა გამო, რაც ჰიტლერის ხელქვეით ჩაიდინა.

ჟისკარ დ ესტენს ეს ესმის და ამიტომ თავის კონსტიტუციურ შემოქმედებაში იგი პირველ მიზნად ისახავს ევროპის ეროვნულ სახელმწიფოთა მთავრობების თანხმობის მექანიზმთა შექმნას იმის მიხედვით, თუ როგორ მიდის მუშაობა დღეს, ავტორი ასკვნის, რომ მომავალი საკონსტიტუციო კავშირი იქნება არა ევროპელთა რიგითი მასის ნების გამოხატულება და ორგანიზაციის ფორმა, არამედ „ევროკრატიისა" — ეროვნულ სახელმწიფოთა პარლამენტარებისა, მინისტრებისა და ელიტის სხვა ელემენტებისა. ეს იქნება არა ევროპის შეერთებული შტატები, არამედ, უფრო, ეროვნულ სახელმწიფოთა ევროპა. ჯერჯერობით გაურკვეველია, მაგრამ არსებითია საკითხი, თუ რა იქნება ევროპა საბოლოოდ — ერთიანი ორგანიზმი, რომელსაც საკუთარი გულისცემა და სუნთქვა აქვს, თუ ისეთი წარმონაქმნი, რომელიც მხოლოდ ევროპის ეროვნულ სახელმწიფოთაგან მოწოდებული ჟანგბადით ისუნთქებს. ამ ორი მიდგომის კომბინაცია — თუ საქმე ასე განვითარდა — მოგვცემს ერთგვარ ჰიბრიდულ წარმონაქმნს, რომელსაც ერთიანობის ამ ორივე სახის ნიშნები ექნება. და თუმცა ჟისკარ დ ესტენი თავის შრომას სიამოვნებით ადარებს ხოლმე ამერიკის შეერთებული შტატების დამფუძნებელი მამებისას, მაინც ფაქტად რჩება რადიკალური განსხვავება მათს ამოცანებს შორის: ის, რასაც ისინი ქმნიდნენ, იყო კონსტიტუცია, ეს კი, რასაც ახლა ევროპელები ესწრაფიან, არის კონსტიტუციური ხელშეკრულება სუვერენულ სახელმწიფოთა შორის. ამიტომაც დღეისათვის გაკეთებული მონახაზი ახალი დოკუმენტის პირველი მუხლებისა იწყება არა ხელისუფლების ინსტიტუტებისა და მათი ფუნქციების დასახელებით და აღწერით, არამედ ეროვნულ სახელმწიფოებსა და კავშირის ხელისუფლებას შორის უფლებამოსილებათა განაწილების აღწერით — მაგალითად, ერთიანი ბაზარი და საფინანსო პოლიტიკა კავშირის კომპეტენციაა, თავდაცვა ცალკე სახელმწიფოთა მთავრობების კომპეტენციაა და ა.შ. მუდმივი არჩევანის პრობლემა, რომელიც ყველა ცალკეული ზოგადევროპული ინსტიტუტის შექმნისას ავტორებს ელით, არის არჩევანი ქმედითობასა და კონტროლირებადობას შორის, ვინაიდან ერთის ხარისხის გაზრდა მხოლოდ მეორის ხარისხის კლების ხარჯზეა შესაძლებელი.

ბევრი პრობლემა დაუდგებათ ევროპელებს მაშინ, როცა მათ დღევანდელ კავშირს ათი ახალი ყოფილი კომუნისტური წევრი შეუერთდება. ახალი 25-წევრიანი კრებული უკვე სხვა კრებული იქნება, ვიდრე დღევანდელი 15-წევრიანია. საბოლოო ჯამში, ავტორი კავშირის პერსპექტივას ოპტიმისტურად უყურებს.

* * *

ქართველი მკითხველისათვის არსებითია იმის გათვალისწინება, რომ ევროკავშირის ქმნადობის პროცესს ჩვენი ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. საქმე მხოლოდ ის არ არის,რომ იქმნება სახელმწიფოთა არაძალადობითი ნაყოფიერი თანამშრომლობის ახალი ტიპი და იქმნება მსოფლიო წონის მქონე ახალი ალიანსი, რომელშიც ახლო თუ ცოტა შორ მომავალში ყოფნა ჩვენც გვიწევს (ღმერთმა ინებოს!). ევროპის სახელმწიფოთა თავისუფალი კავშირის მაგალითს რუსეთი, რომელიც ჯერჯერობით აგრესიულ იმპერიულ სახელმწიფოდ რჩება, იყენებს საბაბად და „ნიმუშად" არათავისუფალი, ძალადობითი კავშირის შექმნის მცდელობისათვის, რომლის პირველი რგოლი — რუსულ-ბელარუსული — მან უკვე შექმნა და მისი ჯაჭვად გადაქცევას უპირებს. დღეს მიმდინარეობს მუშაობა ამ კავშირში უკრაინისა და ყაზახეთის მოზიდვისათვის (რასაც შორს მწვდომი გეოსტრატეგიული შედეგები აქვს). საქართველოს, ყველა სხვა დასკვნასთან ერთად, აქედან იმ დასკვნის გამოტანაც ჰმართებს, რომ მან ინტენსიურად უნდა იმუშაოს ამიერკავკასიური რეგიონული კავშირის, შავი ზღვისპირეთის რეგიონული კავშირის და, — სამომავლოდ — ქართულ-ჩრდილოკავკასიური კავშირის (ალიანსის) შექმნაზე.

# ქართულ-ოსური კრიმინალური დაჯგუფება კვლავაც არსებობს

ცხინვალი რომ ნაქურდალი ავტომობილების გასაღების ბაზრად იქცა, ეს კარგა ხანია, ცნობილია. რიგი ღონისძიებებისა გატარდა დანაშაულის ალსაკვეთად, თუმცა, როგორც შიდა ქართლის რეგიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი ალეკო სუხიტაშვილი აცხადებს, ვითარება დამამშვიდებელი ნამდვილად არ გახლავთ.

— არაერთ საქმეზე წარმოებული გამოძიების შედეგები ადასტურებს, რომ კვლავ არსებობს ქართულ-ოსური კრიმინალური დაჯგუფება. გასულ წელს ერთი ჯგუფის რამოდენიმე წევრი დააკავეს, მაგრამ ღონისძიებები ამ მიმართულებით კვლავაც გასატარებელია. დანაშაულებრივი ჯგუფები ბლოკპოსტების ავლით მაინც ახერხებენ გატაცებული ავტომობილების სხვადასხვა გზებით ცხინვალში გადაყვანას. გზების მთლიანად გადაკეტვა დღეს არსებული ძალებით შეუძლებელია, თუმცა პერიოდული კონტროლი მაინც ხორციელდება, ძირითადად პროფილაქტიკური ღონისძიებები ცენტრალურ საავტომობილო გზებზე ხდება, რათა არ მოხდეს განსაკუთრებული მძიმე დანაშაული, როგორიცაა ყაჩაღობა. ჩვენდა საბედნიეროდ, მიმდინარე წელს არცერთი დანაშაული არ არის რეგისტრირებული.

**— ბატონო ალეკო, თუ სწორად გაგიგეთ, შიდა ქართლის რეგიონში არცერთი დანაშაული არ მომხდარა მიმდინარე წლის იანვარ-თებერვლის განმავლობაში?**

— არა, ეს მხოლოდ ყაჩალობას ეხება, თორემ მხოლოდ 2003 წლის იანვრის თვეში 68 დანაშაული დაფიქსირდა, რაც სამი ერთეულით ნაკლებია გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით. ეს ჩვენი მუშაკების მონდომებული მუშაობის შედეგად შეიძლება ჩაითვალოს. თუ გასულ წელს დანაშაულთა გახსნის საერთო რაოდენობა 55,4-ს შეადგენდა, წელს ეს 64,7-მდე გაიზარდა.

შინაგან საქმეთა სამმართველოს პირადი შემადგენლობა რაიონულ დანაყოფებთან ერთად მთლიანად გადასულია 2 ცვლიან სადღელამისო მუშაობაზე, თუმცა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თვალსაზრისით საკმაოდ მძიმე ვითარება გვაქვს. შს სამინისტრო შესაძლებლობის ფარგლებში გვეხმარება, მაგრამ ეს არ კმარა.

**— გამოსავლის ძებნაზე არ გიფიქრიათ, თუ სამინისტროს დახმარება არასაკმარისია?**

— მინდა შემთხვევით ვისარგებლო და თხოვნით მივმართო ხელისუფლების წარმომადგენლებს, დახმარება გაუწიონ შს სამმართველოს რაიონულ განყოფილებებს. დარწმუნებული ვარ, შიდა ქართლის ყველა რაიონის გამგეობას ექნება გარკვეული შესაძლებლობა ამისათვის, რაც დიდად წაგვადგება დღეს მუშაობაში.

**ნანა ძველაია**

# „ნატოს სტანდარტები" — მითი და სინამდვილე

ჩვენი გაზეთის უკანასკნელი თვეების ნომრებში გამოქვეყნებულ წერილებში შევეცადეთ გვეჩვენებია, რომ დასავლური (და საერთოდ მსოფლიოს ქვეყნების) სამხედრო მშენებლობის გამოცდილების გათვალისწინებით, საკუთარი თავდაცვის უზრუნველსაყოფად რეალურად მზრუნველ ხუთმილიონიან სახელმწიფოს მშვიდობიანობის დროს რეგულარულ შეიარაღებულ ძალებში მამრობითი სქესის სამხედროვალდებული ახალგაზრდობის გაწვევისა და მომზადების, აგრეთვე რეზერვისტების გადამზადების პროცესები ისე უნდა ჰქონდეს აწყობილი და დარეგულირებული, რომ კრიზისულ სიტუაციებში ან ომიანობის დროს ერთი კვირის განმავლობაში საველე და ტერიტორიული თავდაცვის ჯარებში შეეძლოს 500-550 ათასი ადამიანის მობილიზება.

სახმელეთო ჯარების თითოეულ ბატალიონს, ბრიგადას, დივიზიას ან საარმიო კორპუსს, თავისი შემადგენლობისდა მიხედვით, გააჩნია განლაგებისა და საბრძოლო მოქმედების გარკვეული ტერიტორიულ-სივრცული მაჩვენებლები როგორც ფრონტში, ასევე სიღრმეშიც. ასეთივე მაჩვენებლები გააჩნიათ საბრძოლო ავიაციის თითოეულ რგოლს, ესკადრილიას, პოლკს ან საავიაციო ფრთას, ავიადივიზიას, აგრეთვე საზღვაო ძალების საბრძოლო ხომალდების (კატარღების) დივიზიონსა და ესკადრას, სამხედრო-საზღვაო ბაზას. ასეთ პირობებში საქართველოს ტერიტორიისთვის დაახლოებით 500-ათასიანი შეიარაღებული ძალები, პლიუს სამოქალაქო თავდაცვის ძალები და საშუალებები, მეტად შთამბეჭდავი ძალა იქნებოდა ქვეყნის თავდაცვის უზრუნველსაყოფად და ნებისმიერ პოტენციურ აგრესორს დააფიქრებდა, ლირებული იქნებოდა თუ არა მისთვის საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის განხორციელება.

როგორც ადრე აღვნიშნავდით, ამასვე გვირჩევდნენ 1996 წლის აპრილის დასაწყისში თბილისში კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში ჩატარებული ნატოს ბლოკის პირველი წარმომადგენლობითი ღია კონფერენციის მონაწილე ნატოელი ექსპერტები და ჩვენში მომუშავე ამავე ქვეყნების სამხედრო ატაშეები. მაგრამ ასეთი გეგმების განხორციელებას წინ ეღობება ის გარემოება, რომ 500-ათასიან შეიარაღებულ ძალებს სჭირდება შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის ჯავშანსატანკო ტექნიკა, საველე და სანაპირო არტილერია, საარმიო და ტაქტიკური ავიაცია, ტანკსაწინააღმდეგო და საზენიტო შეიარაღება, საინჟინრო შეიარაღება, დაზვერვის, კავშირგაბმულობის, მიზანჩვენების, მართვისა და სატრანსპორტო საშუალებები, მცირე ხომალდები და კატარღები, ხომალდსაწინააღმდეგო და წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსები და ა. შ.

ამ შეიარაღების შეძენისა და ექსპლუატაციისთვის ფინანსური სახსრებისა და დროითი ფაქტორის გარდა, დამაბრკოლებელ გარემოებებს წარმოადგენს ის, რომ 1990 და 1992 წლებში მაშინდელი ევროთათბირის (ამჟამად ეუთო-ს) ეგიდით პარიზსა და ტაშკენტში დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოსთვის გამოყოფილი ჯავშანსატანკო ტექნიკისა და საველე არტილერიის მაქსიმალური დასაშვები რაოდენობები (კვოტები) — 220 საბრძოლო ტანკი, 220 მოჯავშნული საბრძოლო მანქანა და 285 საველე საარტილერიო სისტემა — მიზერულადაც კი ვერ აკმაყოფილებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი აუცილებლობის მოთხოვნილებებს. შედარებისთვის, სტრატეგიული კვლევების ლონდონის საერთაშორისო ინსტიტუტის მონაცემებით, 2000 წელს 5,2-მილიონიანი ფინეთის სახმელეთო ჯარების შეიარაღებაში ნაჩვენები იყო 230 საბრძოლო ტანკი, საბრძოლო და საბრძოლო უზრუნველყოფის 1065-მდე მოჯავშნული მანქანა, 1940-მდე 100 მმ-ზე მეტი ყალიბის საარტილერიო სისტემა; 7,1-მილიონიანი შვეიცარიის არმიის შეიარაღებაში კი — 560-მდე საბრძოლო ტანკი, 1540-მდე მოჯავშნული მანქანა, 1090-ზე მეტი საველე არტილერიის ქვემეხი და ნალმსატყორცნი, და ა. შ.

საქართველოს სამხედრო მშენებლობის ამ მიმართულებით განვითარების ნაცვლად, უკვე 1998 წლიდან იმავე ექსპერტების დაჟინებული რეკომენდაციებითა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებებით, ჩვენში დაიწყო სულ უფრო ინტენსიური ლაპარაკი მცირერიცხოვანი, მობილური, პროფესიული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებაზე, რაც ვითომდაც ნატოს ბლოკის სტანდარტებს შესაბამება და ქვეყნის თავდაცვისათვის სავსებით საკმარისია. ვინაიდან ამ წლებში ქართულ საზოგადოებაში აღნიშნულ მოსაზრებას ბევრი ადამიანი ნდობით მოეკიდა, ამიტომ შევეცდებით ჩვენს მკითხველს ვაჩვენოთ, როგორია სინამდვილეში ნატოს მონაწილე ქვეყნების მშვიდობიანობის დროის რეგულარული შეიარაღებული ძალებისა და ომის დროს გამოსაყვანი შეიარაღებული ძალების რიცხოვნება და რა ძირითადი ფაქტორებით არის ისინი გათვალისწინებული.

პირველ ცხრილში ნაჩვენებია სწორედ ამავე ლონდონური წყაროს მონაცემები ნატოს ბლოკის რიგი სახელმწიფოების მოსახლეობისა და შეიარაღებული ძალების შესახებ 1991 და 2000 წლებში. მთლიანობაში კი 90-იანი წლების დასაწყისში ნატოს მსხვილი ევროპული სახელმწიფოების: საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, იტალია, თურქეთი, ესპანეთი — მოსახლეობა შეადგენდა დაახლოებით 344,6 მლნ ადამიანს, სამობილიზაციო რესურსი იყო დაახლოებით 84,5 მლნ ადამიანი, ხოლო მათგან ომიანობის დროს ბლოკის სამხედრო ხელმძღვანელობა გეგმავდა სულ დაახლოებით 9,6 მლნ ადამიანის გამოყვანას. ამას ემატებოდა აშშ და კანადიდან გადმოსროლილი გაძლიერების ჯარები, აგრეთვე ნატოს მცირე ევროპული სახელმწიფოების შეიარაღებული ძალები და, შესაბამისად, მოსახლეობასთან შედარებით დაბალი პროცენტული მაჩვენებლის მიუხედავად (2-4%), რაოდენობრივად მაინც შთამბეჭდავად გამოიყურებოდა (იხ. ცხრილი 1).

ასეთ პირობებში, ცივი ომის მეორე ნახევარში, ნატოს ბლოკის ხელმძღვანელობის გეგმებით, დასავლეთ გერმანიის საზღვრისპირა რაიონებში აღმოსავლეთ გერმანიისა და ჩეხოსლოვაკიის მახლობლად, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ განლაგებული იყვნენ ბრიტანული რეინის არმია, სამი დასავლეთგერმანული, ორი ამერიკუ-

გაგრძელება მე-6 გვ.

მე-5 გვერდიდან

# „ნატოს სტანდარტები" — მითი და სინამდვილე

ლი, თითო-თითო ჰოლანდიური და ბელგიური საარმიო კორპუსები, რომელთაც ევალებოდათ მუქარის პერიოდში საზღვრის მთელ გაყოლებაზე მათთვის დანიშნულ სამოქმედო ზოლებში გაშლა და იქ ვარშავის ხელშეკრულების ჯარების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების წარმოება. ამას ითვალისწინებდა „მეწინავე მიჯნებზე თავდაცვის" ბლოკური კონცეფცია, რათა არ დაეშვათ ვარშავის პაქტის ჯარების არათუ დასავლეთით საფრანგეთისა და ესპანეთის მიმართულებით გაჭრა, არამედ თავად გფრ ტერიტორიის სიღრმეში გარღვევაც დასავლეთ გერმანიის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი შედიოდა ცენტრალური ევროპის საომარ მოქმედებათა თეატრში, რომელზედაც განლაგებული იყო ნატოს ბლოკის არმიების ორი კოალიციური ჯგუფი. არმიების ჩრდილოეთის ჯგუფში შედიოდა ბრიტანული რეინის არმია, თითო-თითო დასავლეთგერმანული, ჰოლანდიური და ბელგიური საარმიო კორპუსები, ერთი ტაქტიკური საავიაციო სარდლობა და სხვა ჯარები. მის სამხრეთით განლაგებული არმიების ცენტრალურ ჯგუფში შედიოდა ორ-ორი დასავლეთგერმანული და ამერიკული საარმიო კორპუსი, კანადური ჯავშანსატანკო ბრიგადა, კოალიციური ტაქტიკური საავიაციო სარდლობა და სხვა ჯარები.

შესაბამისად, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სარდლობის გეგმებით, ნიდერლანდებისა და ბელგიის სამხედრო ხელმძღვანელობას ევალებოდა გფრ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში განლაგებული თითო-თითო კორპუსის დაკომპლექტება, რაც შედარებით ნაკლები რიცხვის რეზერვისტების მობილიზებას ითვალისწინებდა. ჰოლანდიური კორპუსის საბრძოლო შემადგენლობაში 1980-იან წლებში შედიოდა სამი მექანიზებული დივიზია (სამი ჯავშანსატანკო და ექვსი მექანიზებული ბრიგადა), აგრეთვე ერთი ცალკეული ქვეითი ბრიგადა; ბელგიური კორპუსის შემადგენლობაში — ერთი ჯავშანსატანკო და სამი მექანიზებული ბრიგადა, ერთი საპარაშუტო („კომანდოსების") პოლკი, აგრეთვე საბრძოლო უზრუნველყოფის სხვა ერთეულები. თავად ამ ქვეყნების ტერიტორიაზე მსხვილმასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების გაჩაღება მოსალოდნელი არ იყო, ხოლო მოწინააღმდეგის დესანტებთან და სადაზვერვო-დივერსიულ ჯგუფებთან ბრძოლის ამოცანების გადაწყვეტა ადგილობრივი (ტერიტორიული) თავდაცვის ჯარებს ეკისრებოდა. სწორედ ასეთი მოკრძალებული ამოცანებით იყო განპირობებული თავად ამ ქვეყნების ომიანობის დროის შეიარაღებული ძალების მოკრძალებული რიცხოვნებაც — მოსახლეობის 1,7-3,3%.

ნიდერლანდებისა და ბელგიის ანალოგიურად, დანიაც ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის საზღვრებიდან დასავლეთ გერმანიის ტერიტორიით იყო დაშორებული და, შესაბამისად, მისი სარდლობის წინაშე საკუთარი ტერიტორიის თავდაცვის შედარებით მოკრძალებული ამოცანები იდგა, სადაც ასევე ნაკლებ სავარაუდო იყო მოწინააღმდეგის მსხვილი დაჯგუფებების შეჭრა. ამიტომ, დანიის სახმელეთო ჯარების საბრძოლო შემადგენლობაში შედიოდა ერთი დივიზიის შტაბი, ხუთი მექანიზებული და სამი ქვეითი ბრიგადა, ორი ცალკეული სადაზვერვო ბატალიონი, ტერიტორიული თავდაცვის ხუთი პოლკი და სხვა ერთეულები. ხოლო მთლიანად შეიარაღებულ ძალებში ომიანობის დროს დანიური სარდლობა გეგმავდა მოსახლეობის სულ 3,4%-ის მობილიზებას.

მათგან განსხვავებით, ნორვეგია უშუალოდ ემეზობლებოდა საბჭოთა კავშირს, ანუ დღევანდელი ტერმინი რომ ვიხმაროთ, „ცხელ რაიონში" მდებარეობდა. ამიტომ ამ ქვეყნის სარდლობა და ნატოს ბლოკის ხელმძღვანელობა გეგმავდნენ ომიანობის დროს ნორვეგიის ტერიტორიის თავდაცვის უზრუნველსაყოფად მისი მოსახლეობის 3,3%-ის მობილიზებას, რასაც დაემატებოდა ჯერ ნატოს მობილური ძალების რამდენიმე გაძლიერებული ბატალიონი, ხოლო შემდეგ დამატებით გაძლიერებას ბრიტანული და ამერიკული ჯარების გადმოსროლა.

ნორვეგიის ტერიტორიაზე თავდაცვითი მოქმედების წარმოებაში ნატოს ბლოკის სარდლობას დიდად დაეხმარებოდნენ ნეიტრალური სკანდინავიური ქვეყნები — შვედეთი და ფინეთი, რომელთა სარდლობებიც თავისი ტერიტორიისა და სუვერენიტეტის დასაცავად ომიანობის დროს გეგმავდნენ შეიარაღებულ ძალებში მოსახლეობის 10-12%-ის მობილიზებას. ასეთ პირობებში საეჭვო იყო, რომ საბჭოთა მოტომსროლელ დივიზიებს ადვილად დაეძლიათ ფინური და შვედური არმიების წინააღმდეგობა და ხმელეთიდან მსხვილმასშტაბიანი შეჭრა განეხორციელებიათ ნორვეგიის ტერიტორიაზე. ამიტომ ნატოს სარდლობა ამ თეატრზე უფრო მეტად მოელოდა მოწინააღმდეგის მხრიდან საზღვაო და საჰაერო დესანტების გადმოსხმას და ძირითადად მათთან საბრძოლველად ამზადებდა ნორვეგიულ და კოალიციურ ჯარებს.

მაგრამ ამჯერად ჩვენთვის აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნატოს ბლოკში ცივი ომის პერიოდში ჯარების რიცხოვნებასთან დაკავშირებით არანაირი „სტანდარტები" არ არსებობდა, არამედ თითოეული სახელმწიფო, ბლოკის სარდლობასთან შეთანხმებით და ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობით, კონკრეტული ამოცანებიდან გამომდინარე, გეგმავდა ომიანობის დროს შეიარაღებული ძალების რიცხოვნებას და ატარებდა შესაბამის ღონისძიებებს. ნატოს ბლოკში მიღებული პროექტით, ე. წ. „ცხელი რაიონიდან" დაშორებული მცირე სახელმწიფოების სარდლობები შეიარაღებულ ძალებში ითვალისწინებდნენ მოსახლეობის 1,7-3,4%-ის მობილიზებას, ხოლო „ცხელი რაიონის" სახელმწიფოები, ნეიტრალური ქვეყნების მსგავსად, მოსახლეობის დაახლოებით 10%-ის მობილიზებას.

ცივი ომის დასრულების, ვარშავის პაქტისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ნატოს ბლოკის უმეტეს სახელმწიფოებში მნიშვნელოვნად შეამცირეს შეიარაღებული ძალების რიცხოვნება, ძირითადი შეიარაღება, სამობილიზაციო და საბრძოლო მზადყოფნა. მაგრამ ამ პირობებშიც უცვლელი დარჩა მოსალოდნელ სამხედრო მუქარებზე ადეკვატური რეაგირების ფუძემდებლური პრინციპი. ამ პრინციპის მიხედვით, თუკი 2000 წელს ნიდერლანდების, ბელგიისა და დანიის სარდლობები ომიანობის დროს გეგმავდნენ შეიარაღებულ ძალებში მოსახლეობის სულ 0,5-2,8%-ის მობილიზებას, ნორვეგიაში ეს მაჩვენებელი მაინც 5,6%-ია. თანაც ასეთი დაბალი რიცხობრივი მაჩვენებლის გამომწვევი მიზეზების უფრო თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად, მეორე ცხრილში მოვიყვანთ ნატოს ბლოკის ევროპულ ნაწილში განლაგებულ შეიარაღებასა და მისი შესაძლო მოწინააღმდეგის ევროპულ ტერიტორიაზე განლაგებულ შეიარაღებას ცივი ომის მიწურულსა და 2000 წელში (ცხრ. 2).

| | საფრანგეთი | გერმანია | თურქეთი | საბერძნეთი | ჰოლანდია | ბელგია | დანია | ნორვეგია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1991 წელი** | | | | | | | | |
| მოსახლეობა | 56 655 800 | 76 877 400 | 56981800 | 10174400 | 14 810 800 | 9 860 800 | 5 081 800 | 4207800 |
| რეგულარული შძ (მოსახლეობის %) | 453 100 (0,79) | 476300 (0,62) | 579 200 (1,02) | 158500 (1,56) | 101 400 (0,69) | 85450 (0,88) | 29 400 (0,58) | 32700 (0,78) |
| ომიანობის დროის შძ (მოსახლეობის %) | 2186600 (3,86) | 1485700 (1,93) | 1686200 (2,96) | 591500 (5, 81) | 253 800 (1,72) | 314400 (3, 24) | 172 100 (3,39) | 390700 (3,27) |
| **2000 წელი** | | | | | | | | |
| მოსახლეობა | 59425000 | 82 112 000 | 66 130 000 | 10 692 000 | 15 794 000 | 10126000 | 5 267 000 | 4 443 000 |
| რეგულარული შძ (მოსახლეობის %) | 294430 (0,49) | 321 000 (0,39) | 609 700 (0,92) | 159 170 (1,49) | 51 940 (0,39) | 21 800 (0,42) | 39 250 (0,39) | 26 700 (0,60) |
| ომიანობის დროის შძ (მოსახლეობის %) | 1671930 (2,81) | 658 300 (0,83) | 988 400 (1,49) | 450 270 (4,21) | 84 140 (0,53) | 191300 (1,89) | 145 400 (2,76) | 287 400 (5,60) |

ალნიშნული ცხრილი მიახლოებითია, მაგრამ მაინც კარგად გვიჩვენებს ძალების განაწილებას და ნატოს ბლოკისადმი პოტენციურ სამხედრო მუქარებს ცივი ომის ბოლოს და დღევანდელ ეტაპზე. მასში არ არის ნაჩვენები რუსეთის აზიურ ნაწილში და აშშ კონტინენტზე განლაგებული შეიარაღება, არც დღევანდელი ირანის შეიარაღებათა რაოდენობა, რომელიც სავარაუდო კონფლიქტში შესაძლოა თურქეთის საწინააღმდეგოდ რუსეთის მხარეზე მოვიაზროთ, მაგრამ თავად ირანს ასეთ პირობებში სპარსეთის ყურის რაიონში შეექმნება სერიოზული სამხედრო მუქარა თუნდაც მხოლოდ აშშ „სწრაფი გაშლის ძალებისგან" და ბუნებრივია, მას თავად დასჭირდება რუსეთისა და სხვა მოკავშირეების დახმარება. ომს ასეთი კანონები აქვს და ეს ბუნებრივია.

| შეიარაღებათა განლაგების ტერიტორია | საბრძოლო ტანკები | მოჯავშნული საბრძოლო მანქანები | საველე არტილერია | დამრტყმელი ვერტმფრენები | საბრძოლო თვითმფრინავები |
|---|---|---|---|---|---|
| **1980 წლების ბოლოს** | | | | | |
| ნატოს ბლოკის ევროპული ტერიტორია | 22 700 | 30 125 | 18 580 | 1690 | 5580 |
| ვარშავის პაქტის ევროპული ტერიტორია | 35 560 | 48 900 | 29 300 | 1560 | 8730 |
| **2000 წელს** | | | | | |
| ნატოს ბლოკის ევროპული ტერიტორია | 16 850 | 31 480 | 17 530 | 1390 | 4280 |
| ვარშავის პაქტის ევროპული ტერიტორია | 7 100 | 12 230 | 7 850 | 815 | 1855 |

საგარეო სამხედრო მუქარის მნიშვნელოვნად შემცირების შედეგად ნატოს ბლოკის უმეტესი სახელმწიფოების წინაშე ალიანსის ხელმძღვანელობა სვამს უკვე ახალ ამოცანებს. მაგალითად, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ჟურნალის „ზარუბეჟნოე ვოენნოე ობოზრენიე"-ს (რომელიც თავის სტატიებს ამზადებს დასავლურ ღია სამხედრო გამოცემებში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით) 1996 წლის 10-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ბელგიის სახმელეთო ჯარები", ვკითხულობთ: „ბელგიის სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ცივი ომის დასრულების შემდეგ გაატარა რეფორმები შეიარაღებულ ძალებში, რომელთა ძირითადი მიზანიც იყო მცირერიცხოვანი, მობილური მაღალეფექტური შეიარაღებული ძალების შექმნა, რომელსაც შეეძლებოდა ქვეყნის აუცილებელი მონაწილეობა ლოკალური კონფლიქტების აცილებასა და დარეგულირებაში როგორც ნატოს პასუხისმგებლობის ზონაში, ისე მის გარეთ".

ამის შესაბამისად, როგორც ზემოთ ვნახეთ, ომიანობის დროს ბელგიის შეიარაღებული ძალების რიცხოვნება შეამცირეს 191 300 ადამიანამდე, რაც ქვეყნის მოსახლეობის სულ 1,9%-ს შეადგენს, ხოლო ამ შემცირებული ჯარების საბრძოლო შემადგენლობაში 2000 წელს ნაჩვენები იყო სახმელეთო ჯარების ერთი მექანიზებული დივიზია (სამი მექანიზებული ბრიგადით), საბრძოლო უზრუნველყოფის დივიზია, „კომანდოსების" საპარაშუტო ბრიგადა და ერთი მსუბუქი საავიაციო ბრიგადა (ორი ტანკსაწინააღმდეგო და ერთი სადაზვერვო სავერტმფრენო ბატალიონებით), ტერიტორიული თავდაცვის ჯარების 11 მსუბუქი ქვეითი ბატალიონი; საჰაერო ძალების შვიდი საბრძოლო და ორი სასწავლო-საბრძოლო ესკადრილია, ორი სატრანსპორტო, ორი სასწავლო და ერთი ბრძოლის ველზე მეთვალყურეობის საავიაციო ესკადრილია; საზღვაო ძალების საბრძოლო და ნაღმსაწინააღმდეგო ბრძოლის ესკადრები. მათ შეიარაღებაში ნაჩვენებია 140 საბრძოლო ტანკი, 141 მოჯავშნული სადაზვერვო მანქანა, 230 ქვეითთა საბრძოლო მანქანა და 350 ჯავშანტრანსპორტერი (სულ 580 მოჯავშნული საბრძოლო მანქანა), 230 საბრძოლო უზრუნველყოფის მოჯავშნული მანქანა, 242 საველე საარტილერიო სისტემა და 100 ერთეული 81-მმ ნაღმსატყორცნი, 480-მდე ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი, 50-ზე მეტი თვითმავალი საზენიტო დანადგარი და 180-მდე მსუბუქი საზენიტო სარაკეტო კომპლექსი, 28 დამრტყმელი, 18 სადაზვერვო და 40-მდე სხვა დანიშნულების ვერტმფრენი, 165 საბრძოლო და სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავი, 80 სატრანსპორტო და საბრძოლო უზრუნველყოფის თვითმფრინავი, სამი მსხვილი წყალზედა საბრძოლო ხომალდი, 11 ნაღმსაწინააღმდეგო ბრძოლის ხომალდი, 12 დამხმარე გემი და სხვა შეიარაღება.

ასეთია თუნდაც „მცირერიცხოვანი, მობილური და ეფექტური" ბელგიური შეიარაღებული ძალები, რომლის მიზანიცაა ბელგიის ტერიტორიიდან მრავალი ასეული და ათასეული კილომეტრის მოშორებით „ლოკალური კონფლიქტების აცილებასა და დარეგულირებაში მონაწილეობა". მაგრამ თავად ბელგია რომ მდებარეობდეს ე. წ. „ცხელ რაიონში", მას რომ ჰქონდეს ტერიტორიები დაკარგული და მოსახლეობა საკუთარ ქვეყანაში დევნილად ქცეული, მაშინაც მისი სარდლობა მხოლოდ ასეთი მცირერიცხოვანი ჯარების შექმნით შემოიფარგლებოდა, თუ უფრო მეტ ღონისძიებებს მიმართავდა საკუთარი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად? და თუ კი ნატოს ბლოკის სარდლობა მოთხოვდა მას შემოფარგლულიყო ისევ მხოლოდ მცირერიცხოვანი ჯარების მშენებლობით და მეტი ზომებისათვის არ მიემართა, მაშინ თანამედროვე სამხედრო საქმეში კარგად გაცნობიერებული ბელგიური ხელმძღვანელობა როგორ გადაწყვეტილებას მიიღებდა?

მაგალითად, ჟურნალ „ზარუბეჟნოე ვოენნოე ობოზრენიე"-ს 1991 წლის მე-2 ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „მორსკაია სტრატეგია" ვკითხულობთ, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ აშშ საზღვაო ძალების ხელმძღვანელობა ფიქრობდა თავისი სამხედრო-საზღვაო ფლოტის გააქტიურებას თავად საბჭოთა კავშირის (რუსეთის) ჩრდილო-დასავლეთ საზღვრების მახლობელ წყლებში, მაგრამ „სკანდინავიური ქვეყნების უარყოფითმა პოზიციამ, რომლებიც ობიექტურად აფასებენ ნორვეგიისა და ბარენცის ზღვებში ამერიკული ფლოტის ღრმა წინსვლის მთელ საშიშროებას, აიძულა ამერიკელები, მოცემულ ეტაპზე უარი ეთქვათ კოლის ნახევარკუნძულის მიმართულებით შეტევითი მოქმედებების გეგმების შემუშავებაზე".

სამწუხაროდ, ჩვენთან „ნატოს სტანდარტებად" ასაღებენ იმას, რაც არათუ ნატოს ბლოკში, არამედ სამხედრო საქმეში ჩახედული ხელისუფლების მყოლ და საკუთარი თავის პატივისმცემელ არც ერთ ქვეყანაში სიზმრადაც კი არ მოეჩვენებათ. ამავე დროს საქართველოს ხელისუფლება, ე. წ. პოლიტიკური სპექტრის უდიდესი ნაწილი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და არასამთავრობო ორგანიზაციები თავიანთი ნორვეგიელი, შვედი და ფინელი კოლეგებივით მფრთხალები და ლაჩრები არ გამოდგნენ და უკანმოუხედავად დაუჭირეს მხარი კავკასია-ცენტრალური აზიის მიმართულებით „შეტევითი მოქმედებების" განვითარებაში იმათ, ვინც კარგად იცის რას ნიშნავს თუნდაც „ნატოს სტანდარტების" „მცირერიცხოვანი, მობილური და ეფექტური" შეიარაღებული ძალების ნამდვილი საბრძოლო შემადგენლობა და შეიარაღება (ახლა ეს ჩვენც ვიცით, თუნდაც ბელგიის მაგალითზე), ჩვენ კი თუნდაც ამ „ძალების" მეათედით დაკმაყოფილებას გვირჩევენ, ანუ უბრალოდ, გვატყუებენ.

**ირაკლი ხართიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვ. ნ. შონია
# ბოროტების სათავე, ანუ როგორ შეთითხნეს „მეგრელთა საქმე“

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო“ №8-16, 2002, №1, 2 2003 წ.

მეორე ფრონტის გახსნის შემდეგ ჩვენი მოკავშირეები დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ და დახმარებაც გვთხოვეს. სტალინმა გასცა ბრძანება. აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანელებს სასტიკად შევუტიეთ და ვაიძულეთ, დასავლეთის ფრონტიდან მოეხსნათ ჯარები და ჩვენსკენ გადმოესროლათ... დასავლეთის ფრონტზე პრაქტიკულად გერმანელებმა შეწყვიტეს წინააღმდეგობა.

შეიქმნა საშიშროება, რომ ბერლინს მოკავშირეთა ჯარები აიღებდნენ, მაგრამ ჯარები ელბასთან შეჩერდნენ და ერთი ნაბიჯიც არ გადმოუდგამთ, წინ, სანამ ჩვენები არ შეუერთდნენ.

ამ ფაქტის გამო ჩერჩილი გაშმაგებული წერდა რუზველტს: ბერლინიდან რაც უფრო შორს ჩამოვართმევთ რუსეთს ხელს გამარჯვებისათვის, მით უკეთესი იქნება ევროპისათვისო.

რუზველტმა ამ წერილს ყურადღება არ მიაქცია. მაშინ ჩერჩილმა მოკავშირეთა ჯარების სარდალს გენერალ ეიზენჰაუერს მიმართა თხოვნით, რომ სასწრაფოდ დაეწყო შეტევა. ეიზენჰაუერმა უპასუხა, რომ მას რუზელტის გარეშე ამ საკითხის გადაწყვეტა არ შეუძლია. ჩერჩილმა ახლა სთხოვა ინგლისის ჯარების სარდალს გენერალ მონტგომერს, რომ სასწრაფოდ დაეწყოთ შეტევითი ოპერაციები. მაგრამ მონტგომერმაც ვერ გადაწყვიტა ეს საკითხი, ვინაიდან გაერთიანებულ ჯარებს ეიზენჰაუერი სარდლობდა.

როგორ გგონიათ, რატომ არ დაიძრა მოკავშირეთა ჯარები ბერლინის ასაღებად?

როგორც მოგვიანებით გაირკვა, სტალინმა რუზველტს მისწერა დაახლოებით ასეთი შინაარსის წერილი: „ამ ომში რუსეთმა ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო, ამიტომ ისტორიის კანონზომიერება მოითხოვს, რომ ბერლინი რუსებმა აიღონ. თუ თქვენ ამაში მხარს არ დაგვიჭერთ, მაშინ ჩვენ მეორედ მოგვიწევს ბერლინის აღება და შესაძლოა სხვა ქვეყნების განთავისუფლებაც. თუ მხარს დაგვიჭერთ, როცა ბერლინს ავიღებთ და გერმანიასთან ომს დავამთავრებთ, მერე დაგეხმარებით იაპონიასთან ომის მალე დამთავრებაში“.

ჩერჩილმა ამ წერილის შესახებ, იაპონიასთან ომის დამთავრების შემდეგ გაიგო და მიხვდა, რომ სტალინმა ერთხელ კიდევ გააცურა.

განა სტალინის პოლიტიკურ ნიჭზე არ მეტყველებს ის ფაქტი, რომ მთელი ომის განმავლობაში, გერმანიამ იაპონია ვერაფრით ომში ვერ ჩაითრია?

15 წუთი ესაუბრა სტალინი იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრს — იოსუკე მაცუოკოს და ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ იაპონია, გერმანიასთან ერთად ომში არ ჩაბმულიყო. დღეს არავინ არ იცის, თუ რა უთხრა სტალინმა მაცუოკოს, — ეს აზრი სულ აწვალებდა ჰიტლერსაც. მან კატეგორიულად მოსთხოვა კანარისს გაეგო სტალინის და მაცუოკოს საუბრის შინაარსი, მაგრამ ვერ მიაღწია ამას“.

— რას გვეტყვით ხრუშჩოვზე? ჩაურთო კითხვა ბატონმა ანზორმა.

მოლოტოვმა უპასუხა: ...„იგი უთუოდ ნიჭიერი კაცი იყო, მაგრამ გაუნათლებელი და საშინლად თავხედი.“

— რას გვეტყვით ბერიაზე? დაისვა კითხვა.

მოლოტოვმა უპასუხა: ...„ბერია უნიჭიერესი კაცი იყო. არაადამიანური ენერგიის მქონე და შრომისმოყვარე. შეეძლო კვირაობით დაუძინებლად ემუშავა...

რაც შეეხება ბრალდებას, რომ ბერია უცხოეთის აგენტი იყო — მტკნარი სიცრუეა, მას საბჭოთა კავშირის წინაშე დანაშაულთან ერთად დიდი დამსახურებაც ჰქონდა“.

ბატონი ანზორი უსვამს ასეთ კითხვას: „რატომ არ დაუჭირეთ მხარი ბერიას, როცა სტალინის სიკვდილის შემდეგ პოლიტბიუროში დაჯგუფება დაიწყო?“.

მოლოტოვი პასუხობს: ...„ბერიამ დამირეკა და შემომთავაზა მათ ჯგუფს დავხმარებოდი, მე პირიქით ვურჩიე, ჩვენი პოზიცია დაეჭირა, არ დამიჯერა და ყურმილი დამიკიდა. ეგონა, ხრუშჩოვის ჯგუფს ადვილად გაუსწორდებოდა, მაგრამ ხრუშჩოვი მასზე უფრო ეშმაკი აღმოჩნდა. ჩემთვის რომ დაეჯერებინა, ისტორია სხვანაირად დატრიალდებოდა“.

— რაზე გწყდებათ გული ყველაზე მეტად? იყო მომდევნო კითხვა.

მოლოტოვმა უპასუხა — „პარტიიდან რომ გამრიცხეს. მე ლენინის ხელმოწერილი მანდატი მაქვს. კომუნისტურ პარტიას მთელი ჩემი არსებით ვემსახურებოდი, მთელი ჩემი სიცოცხლე შევწირე და არავის ჰქონდა უფლება, მე პარტიიდან გავერიცხე და №1 მანდატი ბრეჟნევისთვის მიეცათ.

მე თავს დღემდე ლენინური პარტიის წევრად ვთვლი. საწევროსაც ყოველთვიურად წესის მიხედვით ვიხდიდი. ახლა, მადლობა ღმერთს, ანდროპოვმა აღმადგინა პარტიის რიგებში. ეს იყო ჩემთვის ბოლო წლებში ყველაზე ბედნიერი წუთები...

### როგორ დაიღუპა ბერია?

ბერიას დაღუპვაზე სხვადასხვა აზრი არსებობს. იგი ჯერჯერო-



ბით კრემლის საიდუმლოებას წარმოადგენს. ხრუშჩოვის მიერ გამოთქმული აზრი ბერიას დაპატიმრებაზე, როგორც ირკვევა, არ შეეფერება სინამდვილეს. მიუხედავად ამისა, გვინდა გავაცნოთ იგი მკითხველს, იმ სახით, რა სახითაც გამოქვეყნდა ჟურნალ „ოგონიოკის“ 1990 წლის მე-6 ნომერში.

ნ. ს. ხრუშჩოვის მოგონებიდან:

„ბერიას დაპატიმრება დავავალეთ ამხ. მოსკალენკოს, ხუთი გენერლისაგან შემდგარ ჯგუფთან ერთად. როგორც მოსკალენკო, ისე ხუთივე გენერალი უნდა ყოფილიყო შეიარაღებული და ისინი კრემლში უნდა გაეტარებინა ბულგანინს, იმ დროს სამხედროებს, რომლებიც კრემლში შედიოდნენ, უნდა დაეტოვებინათ იარაღი კომენდატურაში. მოთათბირების შემდეგ მოსკალენკოს ჯგუფს შეუერთდა მარშალი ჟუკოვი, და კიდევ რამდენიმე კაცი (გ. კ. ჟუკოვმა ეს არ დაუდასტურა სერგო ბერიას — ლ. პ. ბერიას შვილს — შეხვედრისას).

ერთი სიტყვით, კაბინეტში შევიდა არა ხუთი კაცი, არამედ ათი, ან უფრო მეტი. მალენკოვი რბილად მიმართავს ჟუკოვს: „მე, როგორც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, გაძლევ განკარგულებას — დააკავოთ ბერია“.

ჟუკოვმა უბრძანა ბერიას: „ხელები მაღლა!“.

მოსკალენკომ და სხვებმა მოიმარჯვეს იარაღი, რადგან ბერიას შეეძლო წასულიყო პროვოკაციაზე. ბერიამ ხელი სტაცა თავის პორტფელს, რომელიც იდო მის ზურგს უკან, ფანჯრის რაფაზე, მე ბერიას ვტაცე ხელი, რათა არ ეხმარა იარაღი, თუკი იგი ჰქონდა პორტფელში.

შემდეგ, როცა შევამოწმეთ, არავითარი იარაღი მას არ ჰქონდა, არც პორტფელში და არც ჯიბეში. მან უბრალოდ გააკეთა, ასე ვთქვათ, რეფლექსური მოძრაობა.

ბერია მაშინვე აიყვანეს დაცვის ქვეშ და მოათავსეს მინისტრთა საბჭოს შენობაში, მალენკოვის კაბინეტის გვერდით.

*„ოგონიოკი“ №6, 1990 წ.*

საინტერესოა, რატომ არ ახსენებს ხრუშჩოვი იმას, რომ ბერია ბერლინის აჯანყების ჩასაქრობად იყო წასული. ირკვევა, რომ ხრუშჩოვის ეს მონათხრობი, ასევე მისი სასამართლო პროცესიც იყო სრული სიცრუე.

ახლა მკითხველს მინდა გავაცნო ბერიას დაღუპვის თაობაზე ის ცნობა, რომელიც გადმომცა ბატონმა ილია ბარქაიამ. ამ უკანასკნელს ეს ვერსია გაგონილი ჰქონდა მაღალი ჩინის მისივე კოლეგებისაგან.

აი, ეს ვერსიაც:

ცნობილია, რომ ყოველი წლის 25 ივნისს მოსკოვის გარნიზონი მიდის „ლაგერში“, მოსკოვთან ახლომდებარე საკურორტო ზონაში.

1953 წლის 18 ივნისს ბერიამ მოიწვია დიდი ჩეკისტების თათბირი. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე იყო კრუგლოვი; მოადგილეები იყვნენ: ვ. ნ. მერკულოვი, ვ. გ. დეკანოზოვი, ბ. ზ. ქობულოვი, ს. ა. გოგლიძე პ. ი. მეშიკი, ლ. ვ. ვლადიმირსკი. ბერიამ მოწვეულ დიდ ჩეკისტებს გააცნო ის ღონისძიება, რომელიც უნდა განეხორციელებინა შინაგან საქმეთა სამინისტროს. იგი მდგომარეობდა შემდეგში: როგორც კი მოსკოვის გარნიზონი გადავიდოდა ქალაქიდან, მთელი ძალაუფლება ხელში უნდა აეღო შინაგან საქმეთა სამინისტროს. რა თქმა უნდა, პირველ კაცად დაჯდებოდა თვითონ. ხოლო დანარჩენ დიდ თანამდებობებს დაურიგებდა თათბირის მონაწილეებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოლოტოვის და ზოგიერთ სხვათა ხელისუფლებიდან ჩამოშორება არ იყო გათვალისწინებული. შემუშავდა მოქმედების გეგმა. მასალები ბერიამ სეიფში ჩაკეტა.

1953 წლის 19 ივნისს ბერლინში მოხდა აჯანყება. გერმანიის მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა მოიცვა სახალხო პროცესმა. ისინი იარაღით ხელში გამოვიდნენ და უნდოდათ დაემხოთ ოტო გროტევოლის მთავრობა. გროტევოლმა დახმარებისათვის მიმართა საბჭოთა მთავრობას. ბერლინის აჯანყების ჩაქრობა ბერიას დაევალა. იგი გააცილეს თვითმფრინავზე: ხრუშჩოვმა, ბულგანინმა, მალენკოვმა და სხვებმა. იმავე დღეს კრუგლოვმა გასცა საიდუმლო და ყოველივე 18 ივნისის თათბირის შესახებ ხრუშჩოვს მოახსენა.

ბატონი ილიას თქმით, ეს მოხდა შემდეგნაირად: „კრუგლოვი, როგორც კი ბერია ბერლინში გაფრინდა, გამოცხადდა პირდაპირ კრემლში. იქ გაიგო, რომ მთელი პოლიტბიუროს შემადგენლობა დიდ თეატრში პრემიერაზე დასასწრებად წასულიყო. იგი პირდაპირ თეატრისაკენ გაეშურა. შევიდა ლოჟაში, სადაც ისხდნენ პოლიტბიუროს წევრები. მოლოტოვი პრემიერას არ ესწრებოდა. კრუგლოვი ჩქარი ნაბიჯით მივიდა სულ ახლოს ხრუშჩოვთან და მოახსენა: ...„ნიკიტა სერგის ძევ, თავს უშველე, ბერიას სურს მთელი პოლიტბიუროს დაპატიმრება“.

ყველა პანიკამ მოიცვა, სპექტაკლის დაწყებას ხუთი წუთი უკლდა. პოლიტბიუროს წევრებმა თეატრი დატოვეს. კრუგლოვი, ბულგანინი, ხრუშჩოვი და მათი დაცვა შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიჭრნენ. ქობულოვი და დეკანოზოვი იქვე დააკავეს. ბერიას კაბინეტი გატეხეს, სეიფი გაალეს, კრუგლოვის ნათქვამი გამართლდა. სეიფში აღმოჩნდა 18 ივნისის თათბირის მასალები და მოქმედების გეგმა.

დააპატიმრეს ბერიას მოადგილეები, 18 ივნისის სხდომის ყველა მონაწილე, გაჩხრიკეს მათი ბინები, პატიმრობაში აიყვანეს მათი ოჯახები.

შს სამინისტროში ყველაფერი აირია. უცნაური დაპატიმრებები გაუგებარი რჩებოდა. ბერიას კაბინეტიდან მიმავალი ყველა ხაზი გადაჭრეს. პეტრე შარიას ჰქონდა საიდუმლო ხაზი, რომლითაც საჭირო შემთხვევაში შეეძლო დაკავშირებოდა ბერლინში მყოფ ბერიას. პეტრემ მოახერხა ამ ხაზით დაკავშირებოდა შეფს და მოახსენა: ...„იცოდე, ცუდად არის საქმე. თავს უშველე, შენი მოადგილეები დაიჭირეს. კაბინეტები და ბინა გაჩხრიკეს“.

როგორც აღვნიშნეთ, ბერიას დაღუპვაზე არსებობს სხვადასხვა ვერსია.

ერთ-ერთის მიხედვით, ბერია დარწმუნებული იყო რა თავის თავში, ბატონი ილიას თქმით, გამოფრინდა მოსკოვში. მივიდა რა კრემლში, კაბინეტში შესვლისას ბულგანინის მცველებმა ავტომატის



ხიშტი ჩასცხეს, მძიმედ დაჭრეს, შემდეგ წაიყვანეს საავადმყოფოში და იქვე გარდაიცვალა (ეს ვერსია მას მაღალი ჩინის მქონე კოლეგებისაგან ჰქონდა გაგონილი).

მეორე ვერსიის მიხედვით, ბერია არც ჩამოსულა მოსკოვში. მან აქ გამოგზავნა თავისი ორეული. თვითონ კი სახის პლასტიკური ოპერაციის გაკეთების შემდეგ ოტო გროტევოლის დახმარებით წავიდა ბრაზილიაში. ამაზე ორიოდე წლის წინ იყო ცნობილი მწერლის გურამ ფანჯიკიძის პუბლიკაცია გაზეთში.

ამ ვერსიის მიხედვით მოვლენას ხსნიან შემდეგნაირად: ბერიას მის თანხლებთა შორის მუდამ დაჰყავდა ორეული, რომელიც წვერს და ულვაშს ატარებდა. თუ ულვაშს და წვერს მოიშორებდა, ეს კაცი ზუსტად ბერიას ასლი იყო. ამ ვერსიის თანახმად ბერიამ, როგორც კი პეტრე შარიასაგან შეიტყო საქმის ვითარება, მოსკოვში გამოუშვა თავისი ორეული. ეს არ იცოდა ამალის არცერთმა წევრმა.

შერემეტიევოს აეროდრომზე როცა დაეშვა ბერლინიდან წამოსული დელეგაცია და როგორც კი თვითმფრინავიდან გადმოვიდნენ „ბერია“ და მისი თანხლებნი, ავტომატური იარაღით გაუხსნეს ცეცხლი და ყველანი დახოცეს.

რაც შეეხება სასამართლოს, როგორც აღვნიშნეთ, ეს იყო სრული ფალსიფიკაცია. იქ გამოიყვანეს ბერიას მეორე ორეული, რუსი ეროვნების კაცი, გვარად კალუგინი. მას დიდ ჯილდოს შეპირდნენ, რათა ეთამაშა ეს როლი. მან ეს მისია მართლაც ჩინებულად შეასრულა, მაგრამ ბერიას მაგივრად ჯილდოდ შუბლში ტყვია მიიღო.

ბერიას სასამართლოზე მოწვეული იყო საქართველოდან მიტროფანე კუჭავა (ზუგდიდის ყოფილი რაიკომის პირველი მდივანი გრ. ჩაჩიბაიას შემდეგ). კუჭავა მართლაც დაესწრო სასამართლო პროცესს. მან მოახერხა ახლო მისვლა და დარბაზიდან „ბერიას“ გადაულაპარაკა მეგრულად. განსასჯელის სკამზე მყოფი „ბერია“ პასუხის ნაცვლად უაზრო თვალებით ჩააშტერდა კუჭავას. კუჭავა დარწმუნდა, რომ საბრალდებო სკამზე ბერია არ იჯდა. ბატონმა მიტროფანემ ეს ამბავი გვიან, სულ გვიან გაამხილა ძალზე ვიწრო წრეში. მაშინ ხრუშჩოვი ხელისუფლებას ჩამოშორებული იყო.

ბერიას დაპატიმრების შემდეგ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა კრუგლოვი.

1953 წლის სექტემბერში ხრუშჩოვი ინდოეთს ეწვია. ამ დროს კრუგლოვი ეახლა მოლოტოვს და უთხრა: „ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ, ხრუშჩოვს აქვე დავაპატიმრებთ, მოკიდეთ ხელი ქვეყნის მართვას“. მოლოტოვი, ცხადია, არ ენდო კრუგლოვს და ცივი უარით გაისტუმრა. ხრუშჩოვი როცა დაბრუნდა ინდოეთიდან, მას ეახლა მოლოტოვი და უთხრა: „ნიკიტა სერგეევიჩ, რად მიგზავნი აგენტებს? მე არ მინდა ძალისმიერი მეთოდით ხელისუფლების სათავეში მოსვლა. თუ კი ხალხი ამირჩევს, ეს სხვა საქმეა“ (ეს ის დროა, როცა კრემლის მესვეურებში დაჯგუფება ნათლად გამოიკვეთა და ურთიერთობა მეტად დაიძაბა). ხრუშჩოვს გაუკვირდა ყოველივე და მოლოტოვს უთხრა: „რას ამბობთ, ვინ აგენტებს გიგზავნით და ამიხსენით, საერთოდ რაზეა ლაპარაკი“. მაშინ მოლოტოვმა გაუმხილა მასთან კრუგლოვის ვიზიტი და ის წინადადება, რაც მას კრუგლოვმა შესთავაზა. ხრუშჩოვმა შუბლზე ხელი იტკიცა. თან ჩაილაპარაკა — ღმერთო ჩემო, რას გადავრჩენილვარ!

ხრუშჩოვი მაშინვე გაუსწორდა კრუგლოვს. იგი იმ დღის შემდეგ არავის უნახავს.

ახლახან გამოცემულ წიგნში „გვიყვება ბერიას ვაჟი“, მკითხველი გაეცნობა თუ რა აუტანელი სულიერი და ფიზიკური ტანჯვა გამოსცადეს რეპრესიის წლებში ბერიას მეუღლემ და ვაჟიშვილმა. ამაზე ჩვენ გვქონდა საუბარი. ბერიას დაღუპვის შემდეგ, არც მეგობრები, ახლობლები და ნათესავები დაინდეს. რეპრესიების მსხვერპლი გახდა ბერიას ერთ-ერთი ბიძაშვილი — ივანე კვარაცხელია და მისი ოჯახი.

### ივანე პეტრეს ძე კვარაცხელია

ივანე პეტრეს ძე კვარაცხელია დაიბადა 1897 წელს წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯგალში, სოფლის მღვდლის პეტრე კვარაცხელიას ოჯახში. ივანეს გარდა პეტრე მღვდელს კიდევ ხუთი შვილი ჰყავდა. პეტრეს მეზობლად მცხოვრებ ბასა კვარაცხელიას ოჯახში დიდი უბედურება ტრიალებდა. მას 2-დან 11 წლამდე ასაკის შვიდი შვილი მოუკვდა. აღნიშნულმა დაამწუხრა მთელი სოფელი. მეზობლებმა და მახლობლებმა ბასას და მის ცოლს თავის მოკვლის საშუალება არ მისცეს. ამ ამბის შემყურე პეტრემ არც აცია, არც აცხელა და სამი თვის ივანე შვილად მისცა ბასას. იზრდებოდა პატარა ივანე ბუთხუზა, ჯანმაგარი, მკვრივი, ამასთან არაჩვეულებრივი მეხსიერების და უნარის მქონე.

გავიდა რვა წელი და ბასას ოჯახში დაიბადა ვაჟი. მას სოლომონი დაარქვეს. აღორძინდა ოჯახი. ივანე ფეხბედნიერი გამოდგა, ბასას ოჯახში კიდევ ვაჟი დაიბადა. ცხრა წლის ივანე ჯგალის დაწყებით სკოლაში მიიყვანეს. მან ოთხი კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა სოფ. ხაბუმის ორკლასიან სასწავლებელში. აღნიშნული სასწავლებლის ხუთებზე დამთავრების შემდეგ სენაკში აგრძელებს სწავლას. შემდეგ შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ ფაკულტეტზე. ეს ის დროა, როცა ბერია საქართველოს პოლიტსამმართველოს უდგას სათავეში.

დასასრული შემდეგ ნომერში

## როგორ შეგვათრიეს «ესენგეში»?!

*მე-2 გვერდიდან*

# საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1 მარტის სხდომის ოქმი

## საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტი

ორი პოზიცია, უნდა დავიოკოთ ნერვები და შევეგუოთ იმ აზრს, რომ შეიძლება უმრავლესობამ გაიმარჯვოს, ხდება ასე, ხომ. *(ხმა დარბაზიდან).* მე ძალიან გთხოვთ... და შეწყდეს ყოველგვარი ყვირილი, წამოყვირება. მე მგონი ეს ჩვევა პირველი კლასიდან უნდა გვქონდეს გამოყოლილი. მე ძალიან გთხოვთ შევეგუოთ იმ აზრს, რომ პარლამენტში არსებობს უმცირესობა და არსებობს უმრავლესობა. არაფერი უსაშველო ამაში არ არის. ასეა ყველა ქვეყანაში, სადაც პარლამენტი მუშაობს და ფუნქციონირებს. (ხმა დარბაზიდან). გსიამოვნებთ, თუ არ გსიამოვნებთ, მე ძალიან გთხოვთ, ამას შევეგუოთ და პატივი ვცეთ იმ რეალურ შეფარდებას, რაც არსებობს ჩვენს საზოგადოებაში, რაც არსებობს პარლამენტში. თუნდაც ხელოვნურია, ვთქვათ, მაშინ ხალხი შეცდა და აირჩია ეს პარლამენტი, მაშინ დავითხოვოთ უნდა პარლამენტი. *(ხმა დარბაზიდან).*

**თავმჯდომარე.** სირცხვილია, მართლა სირცხვილია.

**ე. შევარდნაძე.** მე არ აგყვებით. ჩემ თავს მივეცი დღეს პირობა, რომ ამ თქვენ წამოძახილებს და რეპლიკებს არ ავყვე. ახლა არსებით საკითხთან დაკავშირებით.

ჩემს ბარათში, რომელიც თქვენ დაგიგზავნეთ, ჩემი შეხედულებები ჩამოყალიბებულია. მე არა ერთხელ მითქვამს იმის თაობაზე, თუ როგორ დავუკავშირდით ჩვენ თანამეგობრობას. მე ძალიან ვთხოვ ყველას, მათ შორის ბატონ ნოდარ ნათაძეს, როდესაც ასეთ საკითხებს ვიხილავთ, არ უნდა მოგიბრუნდეს ენა, რომ ილაპარაკო სახელმწიფოს გადატრიალებაზე, გადატრიალებაზე ზევიდან თუ ქვევიდან...

**ნ. ნათაძე.** ფაქტია, რა არ უნდა ილაპარაკო, ფაქტია.

**ე. შევარდნაძე.** მადროვეთ, მადროვეთ. მე სხვა სიტყვებზე აღარ გედავებით, რაც ჩვენში დარჩეს. აქ არის ჩვეულებრივი პროცედურა და დღეს პარლამენტმა უნდა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება, მხარს ვუჭერთ თუ არ ვუჭერთ იმას, რასაც ხელი მოაწერა სახელმწიფოს მეთაურმა. აი, ეს ელემენტარული საკითხი გადაწყდეს. მე წელან უკვე მოგახსენეთ, რას ნიშნავს, ძალიან ბევრს ნიშნავს გაჭირვებაში მყოფი ხალხისათვის, ყველასათვის და ნურავინ ნუ შეეცდება ეს დამძიმებული განწყობილება ხალხისა გამოიყენოს იმისათვის, რომ რაღაცა ახალი ტალღა გამოიწვიოს არასტაბილურობისა. მე გთხოვთ დინჯად, მშვიდად, თუ რამ არსებითია განსახილველი, განვიხილოთ, თუ არა და დავაყენოთ საკითხი კენჭისყრაზე და გამოვხატოთ დამოკიდებულება, ვინ არის მომხრე და ვინ არის წინააღმდეგი. რატომ გვიკვირს, რომ ასე დგას საკითხი. ნურავინ ნუ ნერვიულობს. მე რამდენჯერმე დავმარცხდი პარლამენტში, შემოვიტანე წინადადება და არ გავიდა. *(ხმა დარბაზიდან).*

**თავმჯდომარე.** ძალიან გთხოვთ ნუ აწყვეტინებთ ლაპარაკს და რეპლიკებს...

**ე. შევარდნაძე.** არავითარი ტრაგედია ამაში არ არის, რომ დღეს გავიდეს უმრავლესობის აზრი, ხვალ შეიძლება უმცირესობას დავუჭიროთ მხარი, თუ ის ლოგიკური იქნება, არგუმენტირებული იქნება და დასაბუთებული იქნება. ამიტომ მე მიმაჩნია, რომ დღეს საკითხი უნდა გადაწყდეს... *(ხმა დარბაზიდან).* ახლა მოგიწოდებთ ყველას, თუნდაც ელემენტარული ეთიკის პირობებში. გმადლობთ.

**თავმჯდომარე.** ახლა...

*(დ. ბერძენიშვილი ადგილიდან: შეკითხვა მაქვს, ბატონო ედუარდ).*

**ე. შევარდნაძე.** ეს მე მინდა, ოფიციალურად განვაცხადო, აი ეს ადგილიდან წამოძახილი...

*(დ. ბერძენიშვილი ადგილიდან: მიკროფონთან ვდგავარ, შეკითხვა მაქვს სახელმწიფოს მეთაურთან, იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაზეც ახლა ისაუბრა).*

**ე. შევარდნაძე.** თანახმა ვარ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. სხვა შემთხვევაში არ გიპასუხებთ.

**თავმჯდომარე.** მე-3 მიკროფონი.

**დ. ბერძენიშვილი.** ამ საკითხის განხილვასთან დაკავშირებით მაქვს, თქვენი სიტყვებიდან გამომდინარე, შეკითხვა. თქვენ ბრძანეთ, რომ კანონს არავინ არღვევს და სახელმწიფო ხელისუფლების კანონით ჩვენ ვცხოვრობთ. მე მაინტერესებს, სახელმწიფო ხელისუფლების კანონში და ჩვენს რეგლამენტში მკაცრად, მკაფიოდ როცა არის განმარტებული, რომ შეთავსებადობა არ შეიძლება იმ ხალხისათვის, ეს არის თუ არა კანონის დარღვევა?



**თავმჯდომარე.** ეს სხვა თემაა.

**დ. ბერძენიშვილი.** რას ჰქვია სხვა თემაა. მე მაინტერესებს, უშიშროების სამინისტროს შექმნა იყო თუ არა სახელმწიფო ხელისუფლების კანონის დარღვევა? სახელმწიფო ხელისუფლების კანონში ჩვენ გვიწერია, სადაზვერვო-საინფორმაციო ბიურო და ფაქტობრივად არსებობს უშიშროების სამინისტრო. ბევრი სხვა რამ ასეთი იყო. მე მაინტერესებს დღეს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, გამგებლები და აღმასრულებელი ხელისუფლების ზედა ეშელონებში მომუშავე ხალხის ხმა აი ამ გადაწყვეტილებაში, იქნება თუ არა კანონდარღვევა?

**ე. შევარდნაძე.** ახლავე გიპასუხებთ. ჯერ ერთი, რომ ეს საკითხი პარლამენტმა უკვე განიხილა. ეს საკითხი დღის წესრიგში შევიტანოთ თუ არ შევიტანოთ და პარლამენტმა გადაწყვიტა, რომ დღეს არ შევიტანოთ დღის წესრიგში. საერთოდ კი, ეს საკითხი განსახილველია. როცა მოვა დრო და როცა კოლეგია იქნება, თუ პარლამენტი იქნება და გადაწყვეტს, რომ დღის წესრიგში შევიტანოთ, შევიტანოთ და ვიმსჯელოთ. ისე კი ჩვენ პრეცედენტები გვქონდა ასეთი. მე შეგახსენებთ, ქალბატონი ირინა 2 თუ 3 თვე იყო პარლამენტის შემადგენლობაში, როცა ის ვიცე-პრემიერი იყო.

*(ხმა დარბაზიდან: არ მიმდინარეობდა მაშინ...)*

**ე. შევარდნაძე.** არავითარი საპარლამენტო კრიზისი ამას არ გამოუწვევია. *(ხმაური დარბაზში).* მოიცათ, მოიცათ. მე თქვენ გეთანხმებით, პრობლემა ასეთი არსებობს და პარლამენტმა ეს საკითხი უნდა განიხილოს, მაგრამ დღეს არ განიხილავს. ახლა ხელშეკრულებასთან დაკავშირებით *(ხმა დარბაზიდან: დიახ, დიახ, ზუსტად, თუ შეიძლება).*

**თავმჯდომარე.** ბატონო დეპუტატებო, ასე ხელოვნურად სხვა საკითხებზე გადასვლა, საკითხიდან გვერდის ავლა ჩვენ... (ხმა დარბაზიდან). არა, მოითმინეთ. ჯერ ერთი წესის დარღვევაა ის, როცა სიტყვა არა გაქვს მოცემული და ადგილიდან ლაპარაკობ. მე-7 მიკროფონი.

**რ. მიმინოშვილი.** ბატონებო...

**თ. ჩხეიძე.** ეს ახლა ადგა და ჩვენ 2 საათია ვდგავართ.

**თავმჯდომარე.** ბრძანეთ.

**რ. მიმინოშვილი.** ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო თამარ. ბატონებო, ხელისუფლების შესახებ კანონზე იყო აქ მსჯელობა. რატომღაც ყურადღებას არ აქცევენ ამ კანონის დასაწყისს. იქ წერია, რომ დეპუტატის უფლებამოსილება წყდება პარლამენტის უფლებამოსილებით, მოტივირებული გადაწყვეტილებით. სანამ ეს გადაწყვეტილება არ არის მიღებული, ყველა არის პარლამენტის წევრი და პარლამენტის წევრის მიერ მიცემული ხმა არის კანონიერი. ასე რომ, ამ საკითხის დასმა შეიძლება, რა თქმა უნდა, და მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც პარლამენტი გადაწყვეტს, რომ ის დეპუტატები გასული არიან პარლამენტიდან, მაშინ იქნება მათი ხმა უკანონო, თუ ისინი ხმას მისცემენ. ასე რომ ამას არავითარი განმარტება არ სჭირდება. პარლამენტმა უარყო ამ საკითხის დღეს განხილვა. ამას უნდა დავემორჩილოთ. მე მეჩვენება, ბატონებო, რომ ზოგიერთ პარლამენტარს სურს დღევანდელი სხდომის ჩაშლა. ჩვენ შეგვიძლია რიგი დავაყენოთ, უმრავლესობის სახელით ვამბობ მე ახლა, აი 121 კაცი დავდგებით მიკროფონთან რიგში, დავიკავებთ ყველა მიკროფონს და ვილაპარაკებთ მთელი დღე. თქვენ თუ გგონიათ, რომ ჩვენ ლაპარაკი არ შეგვიძლია, ძალიან ცდებით. ამიტომ ბატონ სპიკერს ვთხოვ, რომ დააყენოს პირდაპირ კენჭისყრაზე საკითხი, გადავიდეთ უკვე დღის წესრიგის პირველ საკითხზე და ამით დავამთავროთ. მოვნიშნოთ დრო, რამდენ ხანს იქნება კამათი, ერთი საათი იქნება, თუ რამდენ ხანს იქნება, როგორც კი გავა ეს დრო, შევწყვიტოთ კამათი და ვუყაროთ კენჭი. *(ხმაური დარბაზში).* ეს არის უმრავლესობის მოთხოვნა.



**თავმჯდომარე.** ბატონო დეპუტატებო! *(ხმა დარბაზიდან: შეკითხვები გვაქვს).* მოითმინეთ. ჩვენ არა გვაქვს უფლება... *(ხმაური დარბაზში).* ბატონებო, ჩვენ ასე გავაკეთოთ, მე... ყურადღება იყოს. ჩვენ ასე გავაკეთოთ, ფრაქციების მიხედვით... ახლა ერთი ფრაქციიდან 10 კაცი გამოვიდეს, ამას აზრი არა აქვს. მეორე. ნუ აფიქსირებთ იმას, რომ პარლამენტის სხდომის ჩაშლა გვინდა, ნუ ყვირიხართ, უნდა ვიმუშაოთ, როგორც საჭიროა, ამიტომ ჩვენ უნდა განვსაზღვროთ... (ხმა დარბაზიდან: შეკითხვა მაქვს ბატონ ედუარდთან, *(ხმაური დარბაზში).* ბატონო ედუარდ, გთხოვთ დაბრძანდეთ. წერილობითი შეკითხვები სჯობია *(ხმაური დარბაზში).* წესიერად მოიქეცით, არ იქცევით წესიერად. ეს თქვენი ფიზიონომია ისტორიას რჩება. *(ხმაური დარბაზში).* ყურადღება იყოს. ეს პარლამენტის სახე არ არის. პარლამენტი ამ პირობებში მუშაობს...

**ე. შევარდნაძე.** მე კიდევ გთხოვთ თქვენ. კიდევ ერთი ელემენტარული საკითხი უნდა განვმარტოთ. ეს მაინც პარლამენტია და არა ქუჩა და დაემორჩილეთ იმ წესს, რომელიც პარლამენტში უნდა იყოს. *(ყვირილი დარბაზში).* მე უკვე გითხარით თავიდან. თუ ეს ეხება ხელშეკრულებას, მე გიპასუხებთ. *(ხმა დარბაზიდან: ეხება, კი ბატონო, ეხება).*

**თავმჯდომარე.** ბატონო ედუარდ, თქვენთანაც ბოდიშს მოვიხდი, ასე... მოითმინეთ, ყვირილით საქართველოს ბედი როგორც გადაწყდა და გადაწყდება, თქვენ იცით. შეწყდეს ეს ლაპარაკი, დაწყნარდით. *(ხმა დარბაზიდან).* ჩვენ ასე... ბატონ ჭაბუასაც აქვს შეკითხვა. არ მოვუსმინოთ? *(ხმაური დარბაზში).* ბატონო ედუარდ, გთხოვთ დაბრძანდეთ. *(ყვირილი დარბაზში).* სხდომას ვინც შლის, ეს არაფერი გასარკვევი არ არის. ბატონებო, არის წინადადება, უმრავლესობის სახელით ბატონმა მიმინოშვილმა დააყენა საკითხი, რომ პირდაპირ დავიწყოთ... *(ყვირილი დარბაზში).* პირდაპირ ვუყაროთ კენჭი რატიფიკაციას, არის ასეთი წინადადებაც. *(ხმაური დარბაზში).* ვუყაროთ კენჭი, კენჭი ვუყაროთ. *(ტაში დარბაზში).* ბატონო ირაკლი... *(ი. წერეთელი ყვირის ადგილიდან: რუსეთი, ელცინი).* *(ხმაური დარბაზში).* აი ჩვენი პარლამენტიც. *(ცხარე კამათი დარბაზში).* ყურადღება იყოს.

**ე. შევარდნაძე.** არ მესმის არაფერი.

*(ხმა დარბაზიდან: დაიწყეთ, ბატონო ვახტანგ, ერთსაათიანი დებატები).*

**თავმჯდომარე.** მოიცადეთ. ბატონო დეპუტატებო, მე გთავაზობთ ასეთ ვარიანტს. დებატებს... *(ცხარე კამათი დარბაზში).* ყურადღება იყოს. *(განუწყვეტელი ზარი დარბაზში, ხმაური გრძელდება).* ბატონებო, ბატონო დეპუტატებო, დავემსგავსოთ დეპუტატებს და პარლამენტს. დაბრძანდით ადგილზე. საკითხის განხილვას ყვირილი კი არა, აზროვნება უნდა. *(ხმაური დარბაზში. ფ. საყვარელიძე ადგილიდან: ხომ ხედავთ, რომ კაცი აზროვნებს).*

**ე. შევარდნაძე.** თუ შეიძლება, ვახტანგ, ერთი წუთით, ერთი სიტყვა. აქ არსებითი ხასიათის შეკითხვა გამომიგზავნა ბატონმა ივლიანემ. ვუჭერ თუ არა მე მხარს პარლამენტში ხელშეკრულების დამტკიცებას, რატიფიკაციას, განხილვის გარეშე? არ ვუჭერ მხარს, მაგრამ ისე, როგორც აქ კეთდება, არ შეიძლება. ეს არც განხილვაა და არც მსჯელობა არ არის. ალბათ, უნდა დაბრძანდეთ, სიტყვა ითხოვოთ, გამობრძანდეთ და დაასაბუთოთ თქვენი მოსაზრება, რატომ ხართ წინააღმდეგები. მე ჩემი მოსაზრება გამოვთქვი. ვისაც სურს გამოვიდეს და გამოთქვას თავისი აზრი, ტრიბუნა აქ არის და შეგიძლიათ აქედანაც გამოთქვათ. მე ასე ვფიქრობ. გმადლობთ.

**თავმჯდომარე.** მეც ამ აზრისა ვარ.

**ე. შევარდნაძე.** ყვირილი უნდა შეწყდეს. ყვირილი და ღრიალი პარლამენტში უნდა შეწყდეს და ეს უნდა იცოდეს მთელმა ხალხმა, მთელმა საქართველომ, ვის ხელშია საქართველოს ბედი. *(ყვირილი დარბაზში. გ. ხავთასი ადგილიდან: ნუ გვიყვირიხართ).*

**ე. შევარდნაძე.** უკაცრავად, მიკროფონია ჩართული.

**თავმჯდომარე.** ის, რაც აქ ხდება, თქვენ გგონიათ, რომ ეს არ ჩანს. წყნარად იყავით. *(ცხარე კამათი დარბაზში).* თუ გინდათ კამათი, ვიკამათოთ.

**ე. შევარდნაძე.** თქვენ განხილვა გინდათ, თუ არ გინდათ.

*(ხმა დარბაზიდან: გვინდა, მაგრამ ბატონი ვახტანგი არ გვაძლევს საშუალებას).*

**ვ. რჩეულიშვილი.** ჩამოდი მერე, კაცო, და გამოდი თუ გინდა. *(ხმა დარბაზიდან: თქვენთან მაქვს შეკითხვა).* *(ხმაური დარბაზში).*

**ე. შევარდნაძე.** მე უკვე გითხარით ერთხელ, თქვენ არ გვაძლევთ მუშაობის საშუალებას. მე უკვე... არ გიპასუხებთ, რამდენიც არ უნდა იყვიროთ ადგილიდან. ნუთუ თქვენ ვერ გრძნობთ, რომ ეს თქვენი სისუსტის ბრალია. *(ხმა დარბაზიდან).* ალბათ, ალბათ, ამიტომ მე ძალიან გთხოვთ, თუ გინდათ განხილვა, თუ არა და ვუყაროთ კენჭი და დამთავრდება.

*(ხმა დარბაზიდან: დავიწყოთ განხილვა).*

**თავმჯდომარე.** ბატონებო, თუ არ მომცემთ საშუალებას... მოითმინეთ რა, მე გთავაზობთ ასეთ რეჟიმს. შევისვენოთ ნახევარი საათი და შემდეგ... *(ხმაური დარბაზში).* მოიცათ კაცო, მოიცათ, თქვენ... და შემდეგ კამათში გამოვლენ ფრაქციების წარმომადგენლები ყველა მხრიდან. უმრავლესობა იკრიბება ოვალურ დარბაზში.

*გაგრძელება იქნება*

მთავარი რედაქტორი
მანანა ლობჯანიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი. თავისუფლების მოედანი. პუშკინის ქ. №5
გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო“ რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
ტელ: 93-20-36

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.